F75/2 13837

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს ს ს რ
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მაზრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 5—48.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომინალის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

ბერლინის ქუჩებში გრძელდება სისხლისმღვრელი შეტაკებანი მუშებსა და პოლიციას შორის.

— [illegible] სოციალ-დემოკრატებს.

— [illegible] კრებები და კონფერენციები.

— პოლონეთის სამრეწველო [illegible] თაო გაფიცვები.

№ 240 პარასკევი, 19 ოქტომბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400,000 მ. ნ. № 240

გაზ. „კომუნისტი“—გერმანიის პროლეტარიატს

მომავალ ორშაბათს, ოქტომბრის 22-ს, გამოვა სპეციალური №-რი „კომუნისტი“-ს

რომლის მთელი შემოსავალი (გაყიდვიდან და განცხადებებიდან) გადაიდება გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებელი ფონდის გასაძლიერებლათ.

მთელი ტირაჟი განზრახულია გასასყიდათ და ხელის მომწერთ ეს №-რი არ დაეგზავნებათ.

რედაქცია.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა, რომ დღეს, 19 ოქტომბერს

ერთიან პარტიულ დღეს,

დღის წესრიგი შეიმუშავონ თვით რაიკომებმა და უჯრედებმა.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

საქართველოს კომპარტიის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მიმდინარე წელს ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის დღესასწაული ხვდება ორ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიც არის დასავლეთ ევროპის და უმთავრესად გერმანიის ამბები და ს. ს. რ. კავშირის ცაკის მე-4 ე სესიის მოწვევა ტფილისში.

ყველა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა აუხსნან მშრომელ მასებს გერმანიაში დაწყებულ ამბების აზრი და მნიშვნელობა. ოქტომბრის რევოლიუციის ფაქტებით და შინაარსით უნდა დაამტკიცონ სოციალისტურ რევოლიუციის აუცილებლობა გერმანიაში. მშრომელთა მასების მთელი ყურადღება უნდა იქნას მიპყრობილი დასავლეთში განვითარებულ ამბებისაკენ. ოქტომბრის რევოლიუციის ზეიმი უნდა იქნას ჩატარებული გერმანიის პროლეტარიატისათვის მორალურ და მატერიალურ დახმარების თვალსაზრისით.

მშრომელთა მასებს ფართოთ უნდა განემარტოს სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის მშრომელთა ძმური ფაქტიური გაერთიანების მნიშვნელობა: აქ განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ხალხთა უფლებრივ თანასწორობას, რომლის განხორციელება მსოფლიოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო.

პარტიული ორგანიზაციები იღებენ ზომებს დღესასწაულის სასურველად და მასიურად ჩასატარებლად.

კონკრეტულად ცენტრ. კომიტეტის სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას გაძლევთ:

2 კვირით ადრე დაიწყოთ კამპანია პრესის საშუალებით, ყველა გაზეთების რედაქტორებს დაავალოთ პოპულიარულად გააშუქონ ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა და მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის პერსპექტივები.

დღესასწაულს მიეცეს მასიური ხასიათი იმისათვის, რათა მიიზიდოთ გლეხთა ფართო მასები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დღესასწაულში მასწავლებელთა, მოწაფეთა, სოფლის ექიმების და საერთოდ სოფლის ინტელიგენციის მონაწილეობის საქმეს.

მორიგ პარტიულ დღეს, რომელიც იქნება ოქტომბრის რევოლიუციის უახლოესი დღე, კომუჯრედების ყველა კრებებზე გაშუქებულ იქნას ოქტომბრის რევოლიუციის საკითხები და დღიურ წესრიგში განსახილველად დაისვას ცირკულიარები და თეზისები ამ საკითხზე.

დღესასწაულისათვის გადაიდოს საბჭოთა ხელისუფლების ყველა მიღწევების [illegible] როგორც მაგ: კლუბების, ბიბლიოთეკების, სახალხო სახლების, ქარხნების, ელექტრონის სადგურების, არხების და სხვათა გახსნა.

სავალდებულოა პარტიულ სკოლებსა და პოლიტ-წრეებში დამუშავებულ იქნას ლექციების მთელი ციკლი „ოქტომბრის რევოლიუციის და მსოფლიო რევოლიუციის პერსპექტივების“ შესახებ.

გლეხობის შორის მიტინგები და კრებები უნდა გაიმართოს შეძლების დაგვარად ყოველ თემში და დღესასწაულში ფართოთ იქნას ჩაბმული გლეხობა.

დღესასწაულის ჩასატარებლად რაიონებსა და თემებში დაუყონებლივ მოეწყოს კომისიები რაიკომის ან კომუჯრედის, ალმასკომის, ახალგაზრდათა კომკავშირის რაიკომის ან კომუჯრედის, პოლიტიკურ საგანმანათლებლო დაწესებულებათა, საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების, კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა და აგრეთვე აქტიურ მუშაკ-გლეხთა შემადგენლობით.

დღესასწაულის ჩასატარებლად სამაზრო ცენტრიდან გადაგზავნილ იქნას რაიონებსა და თემებში და შეძლებისდაგვარად სოფლებში პასუხისმგებელ მუშაკთა მაქსიმალური რაოდენობა.

შეფებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთ შეფობის ქვეშ მყოფ სოფლებს და განახორციელონ ის მჭიდრო კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, რომელიც ესოდენ საჭიროა.

შეფები თავიანთ შეფობის ქვეშ მყოფ უჯრედებისათვის უკანასკნელებთან ერთად იმუშავებენ დღესასწაულის ჩატარების გეგმას, აძლევენ რა მას მასიურ კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათს.

ყველა საბჭოთა მეურნეობებმა სოფლებში დღესასწაულის ჩატარებას უნდა მიაქციონ სერიოზული ყურადღება და უნდა მოიწვიონ და ჩააბან დღესასწაულში ახლო მდებარე სოფლების გლეხები.

მუშაობის დამთავრების შემდეგ ყველა ქარხნებსა, ფაბრიკებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში დღესასწაულის წინ დღით, 6 ნოემბერს მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე მოსმენილ იქნას მოხსენებები, რომელნიც გააშუქებენ ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობას.

7 ნოემბერს, 6 წლის თავზე, პირველი ნახევარი დღე მოხმარდება ქალაქში მსვლელობას და აღლუმს ყველა პარტიულ, პროფესიონალურ და აგრეთვე ჯარების ნაწილების მონაწილეობით.

საღამოს ყველა თეატრებში და კინოებში, უნდა იქნას გამართული უფასო სანახაობანი: კონცერტები, წარმოდგენები და სხვა.

გამოსვლების და მოხსენებების დროს ზედგაწევნით უნდა იხელმძღვანელოთ ამასთანავე დაგზავნილ თეზისებით.

ცენტრალური კომიტეტის მდივანი ქართველიშვილი.
ც. კ. სააგიტ.-საპროპ. განყ. გამგე—კვირიკაძე.

ბრძოლა იწყება

ჩვენ ვლაპარაკობთ იმ კონფლიქტის შესახებ, რომელიც დაიწყო გერმანიის ცენტრალური მთავრობისა და საქსონიის მუშათა ხელისუფლების შორის.

როგორც მკითხველებმა იციან, მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტების კოალიცია მიღწეული იქნა ისეთი პლატფორმის ნიადაგზე, რომელსაც აუცილებლათ უნდა შეექმნა საკონფლიქტო მდგომარეობა ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობათა შორის. ერთ-ერთი უმთავრესი მუხლი ამ პლატფორმის არის მუშების შეიარაღება და წითელი ასეულების მოწყობა. ეს ნიშნავს ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, შექმნას დამონებული კლასის შეიარაღებული ძალისას, რომელიც მოხერხებულ მომენტში იარაღით ხელში შეებრძოლება რეაქციას. ბუნებრივია, რომ ეს უკანასკნელი ვერ მოითმენს თავის გვერდით ასეთი ძალის ზრდას და სწორეთ ამიტომ გენერალ მიულერმა გასცა ბრძანება ამ ასეულების დაშლის შესახებ. მაგრამ უკანასკნელები ამ ბრძანებას არ დაემორჩილენ, პირიქით მათ გამოუშვეს მოწოდება პროლეტარიატისადმი, შეიარაღებული ასეულების შესავსებათა და კიდევ უფრო გასაძლიერებლათ. ამას გარდა, მიუხედავათ აკრძალვისა, საქსონიაში მოხდა არალეგალური კონგრესი ყველა მუშათა შეიარაღებული ასეულებისა, სადაც მონაწილეობა მიიღეს 155 წარმომადგენლებმა, სოციალ-დემოკრატებმა და კომუნისტებმა. მიღებულ რეზოლიუციაში ვკითხულობთ სხვათა შორის შემდეგს: „საქსონიის პროლეტარიატი მზათ არის სისხლის უკანასკნელ წვეთამდი დაიცვას მის მიერ მოპოვებული უფლებები. ჩვენ სასაცილოთ არ გვყოფნის თქვენ მიერ დადგენილი აკრძალვა“.

ამნაირათ ორივე მხარე გადაჭრით დგანან თავიანთ გადაწყვეტილების ნიადაგზე: ცენტრალური მთავრობა ძალით სცდილობს დაამხოს ახალი მუშური მთავრობა საქსონიის. ეს უკანასკნელი კი ემზადება წინააღმდეგობის გასაწევათ. თუ ერთი რომელიმე არ დასთმობს—ცხადია, მოწამენი შევიქნებით სამხედრო შეტაკების და ეს იქნება პირველი სიგნალი სამოქალაქო ომის ოპერაციების დასაწყებათ.

როგორ გამოხმაურებას ჰპოვებს დანარჩენ გერმანიაში ეს პირველი შეტაკება, რამდენათ აამოძრავებს ეს დანარჩენ პროლეტარიატს აქტიური ბრძოლის ასპარეზზე გამოსასვლელათ—ამაზე წინასწარმეტყველება ძნელია. მაგრამ ცხადია ერთი რამ: საომარი ფრონტი უკვე იხსნება ჩვენ თვალწინ და გადამწყვეტი ბრძოლა იწყება ხელისუფლებისათვის მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ეჭვს გარეშეა: ერთხელ აგორებული ტალღა დაიძვრის კიდით კიდემდე და აქტიური ძალებისათვის შეიძლება აღარც იმდენი სამზადისი დრო დარჩეს მობილიზაციისათვის, როგორც ეს დღემდი გვეგონა.

მომენტის ამოცანა კვლავ ისეთი რჩება, როგორიც იყო „გუშინ“: გაათასკეცებული მზადება და მზათ ყოფნა.

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

მოსკოვი. 18 ოქტ. ბაუმანოვის რაიონის ახალგაზრდობის კომკავშირის წევრთა მრავალრიცხოვან კრებაზე ამხ. ზინოვიევმა განაცხადა, რომ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ამხ. ლენინის, ჯანმრთელობა შეუჩერებლათ უმჯობესდება.

ერთ-ერთ ექიმმა, რომელიც წამლობს ამხ. ლენინს, აცნობა ზინოვიევს, რომ მხოლოდ წამლობის პროცესში დარწმუნდა ის ლენინის ორგანიზატორულ ნიჭში; არა ექიმები ხელმძღვანელობენ დიდი ბელადის წამლობას, არამედ თვითონ ის უწევს დირიჟორობას წამლობის მსვლელობას.

რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების ორგანიზაცია ჩვენში

გუშინ მოთავსებული გვქონდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება—წინადადება რევოლიუციის მებრძოლთა საერთაშორისო ორგანიზაციის განყოფილებების მოწყობის შესახებ ჩვენში.

დადგენილება ასეთი ორგანიზაციის დაარსებაზე გამოტანილი იქნა კომინტერნის მეოთხე კონგრესზე. [illegible] რუსეთში და სხვაგანაც. ისინი სათანადო მუშაობასაც ეწევიან.

ჩვენში კი ამ მხრივ სულ ბოლო დრომდე თითქმის არაფერი გაკეთებულა.

მხოლოდ გერმანიის ამბებმა გაგვახსენა ჩვენი მოვალეობა რევოლიუციის მებრძოლების, კლასთა ბრძოლის მსხვერპლთა წინაშე.

დღეს ჩვენში დიდი კამპანია სწარმოებს გერმანიის პროლეტარიატისათვის მატერიალურ დახმარების აღმოსაჩენად, რასაც, იმედი გვაქვს, სასურველათ ჩავატარებთ.

მაგრამ ამ კამპანიას ერთდროული ხასიათი აქვს, ამასთან სპეციალური.

აუცილებლად საჭიროა მოვაწყოთ საერთაშორისო რევოლიუციის მებრძოლთა დასახმარებლად მუდმივი ორგანიზაციები და შევქმნათ ფონდები, რომლებსაც გამოვიყენებთ მაშინ და იქ, როცა და სადაც ამას მოითხოვს სინამდვილე, რევოლიუციის მსვლელობა.

ამის მოთხოვნილება წინედაც იყო და ეხლა კი დღითი-დღე იზრდება.

განა ჩვენში სავსებით უზრუნველყოფილი არიან და გაჭირვებას არ განიცდიან სამოქალაქო ომების მსხვერპლნი, მათი ოჯახები? რა თქმა უნდა, არა, თუმცა ჩვენ გამარჯვებული ვართ და ხელთ გვიპყრია სახელმწიფო ძალა-უფლება. ეს მონაპოვარი კი შეძენილია ძალიან ძვირად, თავდადებული რევოლიუციონერების სისხლით, ბევრ შემთხვევაში მათი დასახიჩრებით და შრომის უნარის დაკარგვით. ჩვენ ვალდებული ვართ ასეთ ამხანაგებს და მათ ოჯახებს აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება.

უფრო ფართე და მეტ დახმარებას საჭიროებენ ის რევოლიუციონერები, რომელნიც გამხდარან ან ხდებიან მსხვერპლნი მძვინვარე ფაშისტურ რეაქციისა ჯერ კიდევ დაუმხობელ ბურჟუაზიის სამეფოებში. მუშათა კლასის გამარჯვების საქმე იქ აურაცხელ მსხვერპლს იწირავს.

რევოლიუციონერები [illegible] ათი ათასობით [illegible]ებში, სადაც ისინი, ათასგვარ შევიწროებასთან ერთად, სიმშილსა და სხვა გაჭირვებას განიცდიან.

დაწყებულ სამოქალაქო ბრძოლებში გმირულად ეცემიან მუშათა კლასის საუკეთესო შვილები, რომელთა ოჯახები უპატრონოდ რჩებიან. ბევრი მათგანი ამ შეტაკებებშივე სახიჩრდება და ხდება ინვალიდი.

უმუშევრობა იქ მასიურ ხასიათს ღებულობს; ფაბრიკა-ქარხნების პატრონები ულუკმა-პუროდ ჰყრიან ქუჩებში უამრავ მუშა ხელს.

ყველა ამათ, რომელნიც თავგანწირვით იბრძვიან მსოფლიო რევოლიუციისათვის, ჩვენ უნდა გაუწოდოთ ძმური დახმარების ხელი. რევოლიუციის მებრძოლთა საერთაშორისო დახმარების საქმეში ჩვენც უნდა შევიტანოთ შესაფერი წვლილი.

ჩვენ უეჭველად დავიგვიანეთ, დღემდე უნდა მოგვეწყო ფართედ ხსენებული ორგანიზაციები და ასე თუ ისე მომზადებულად შევხვედრილიყავით იმ უდიდესი, გადამწყვეტი მნიშვნელობის ამბებს, რომლებიც დღეს იშლება ჩვენს წინაშე მსოფლიო მასშტაბით.

ჩვენ უნდა გავწიოთ ფართე საგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა რევოლიუციის მებრძოლთა ორგანიზაციების დასაარსებლად.

ასეთი ორგანიზაციების იაჩეიკებით უნდა მოვფინოთ ფაბრიკები და ქარხნები; უნდა შევიჭრათ მუშათა და გლეხურ მასებში, დავაინტერესოთ ისინი და ჩავაბათ ამ საქმეში.

ეს მომენტის ერთი მნიშვნელოვანი ამოცანათაგანია, რომლის დაუყოვნებლივი გადაჭრისაკენ უნდა მივმართოთ ჩვენი ყურადღების და ენერგიის საგრძნობი ნაწილი.

როსტა-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

სამოქალაქო ომი გერმანიაში

ბრძოლა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის: ბერლინში გახშირებულ დემონსტრაციების გამო, საოლქო სარდლობამ აკრძალა ყოველგვარი კრებები და კონფერენციები

ტიურინგიის ახლად შემდგარ მთავრობაში კომუნისტებმა მიიღეს ორი ადგილი.

ბრძოლა ქუჩებში: ბერლინის ქუჩებში გრძელდება სისხლისმღვრელი შეტაკებანი, დემონსტრანტები დადიან ქუჩებში ინტერნაციონალის სიმღერით.

გერმანიის მთავრობის „ღონისძიებანი“: მარკა დღითი დღე კატასტროფიულად ეცემა. გერმანიის მთავრობის იმედი დამყარებულია მარკების გამოშვებაზე.

ახალი ბანკის დირექტორად დაინიშნა პრუსიის ფინანსთა ყოფილი მინისტრი.

ბრძოლა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის

პროლეტარული ორგანიზაციები არ იქნებიან დაშლილი.

ბერლინი. 16 ოქტ. საქსონიის პროლეტარიატმა გადასწყვიტა არ დაემორჩილოს სამხედრო სარდლობის მოთხოვნილებას პროლეტარული ორგანიზაციების დაშლის შესახებ. ლეიპციგის პროლეტარული რაზმების მომწყობმა კომისიამ მიმართა მოწოდებით მშრომელებს ჩაეწერონ პროლეტარულ რაზმებში.

საქსონიის პროლეტარულ რაზმების კონგრესი.

ბერლინი. 16 ოქტ. წინააღმდეგ სარდლობის მიერ აკრძალვისა, შესდგა საქსონიის პროლეტარულ რაზმების კონგრესი.

კონგრესზე დაესწრენ მუშა-სოციალ-დემოკრატების და კომუნისტების 155 წარმომადგენელი და ტიურინგიის და ბერლინის დელეგატები. კონგრესმა მიმართა მოწოდებით საქსონიის მშრომელებს და მიიღო მიმართვა გენერალ მიულერისადმი, რომელშიაც ნათქვამია: „საქსონიის პროლეტარიატი მზათ არის უკანასკნელ სისხლის წვეთამდი დაიცვას მის მიერ მოპოვებული უფლებები. ჩვენში სიცილს იწვევენ თქვენი აკრძალვები“.

საქსონიის მთავრობის ბრძანება როსბახის დატუსაღების შესახებ.

პარიზი. 17 ოქტ. ტრირიდან იტყობინებიან, რომ არც საქსონიის მთავრობამ და არც თავდაცვის მინისტრმა არ იცოდენ ფაშისტურ რაზ[illegible] ლეიტენანტ [illegible]ბახის [illegible]. საქსონიის მთავრობამ ბრძანება გასცა როსბახის დაუყოვნებლივ დატუსაღების შესახებ, და საქსონიის პოლიცია მას ეძებს.

კომუნისტური მოძრაობის დევნა.

ბერლინი. 16 ოქტ. კომუნისტური მოძრაობის დევნა ძლიერდება. სამხედრო სარდლობამ აღმოსავლეთ პრუსიაში აკრძალა კომუნისტური კრებები.

კარის განკარგულებით მიუნხენში დაპატიმრებული არიან მრავალი კომუნისტები. დახურულია კომუნისტური ახალგაზრდობის ყველა ორგანიზაციები.

ჰანოვერში სწარმოებს იმ კომუნისტების მასიური დაპატიმრება, რომელთაც მოიწვიეს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების არალეგალური ყრილობა აკრძალული ყრილობის ნაცვლად.

მემარჯვენე პრესა უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ კომუნისტების დევნა ძალიან ნელის ტემპით სწარმოებს.

ტიურინგიის წითელი მთავრობის შემადგენლობა.

ბერლინი. 17 ოქტ. ტიურინგიის მთავრობის შედგენა დამთავრდა. კომუნისტებმა მიიღეს ორი ადგილი: იუსტიციის მინისტრის (კომუნისტი კორში) და სახალხო მეურნეობის მინისტრის (კომუნისტი ტენორი). დანარჩენ მინისტრების პოსტები დაიკავეს სოციალ დემოკრატებმა.

პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი არის სოციალ-დემოკრატი ფრელიხი, სახალხო მეურნეობის ყოფილი მინისტრი.

ბერლინი. [illegible] ცენტრთან. მთავრობის კონფლიქტი ბერლინთან მწვავდება. არის იმის ნიშნები, რომ სამხედრო სარდლობა ემზადება გადამწყვეტ გამოსვლებისათვის მუშათა მთავრობის წინააღმდეგ. ვოლფის სააგენტოს ცნობით, სამხედრო ხელისუფლებამ გადასწყვიტა იარაღით ჩააქროს პროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგობა. ახლო მომავალში მიღებული იქნება ზომები პროლეტარული რაზმების დაუყოვნებლივი გაშვების განსახორციელებლათ.

გენერალ მიულერის განკარგულების ძალით, ცენტრალური და საქსონიის ადგილობრივი პოლიცია უნდა დაემორჩილოს სამხედრო სარდლობას. ლანდტაგის გუშინდელ სხდომაზე ცეიგნერმა ენერგიულათ გაილაშქრა ამ განკარგულების წინააღმდეგ და განაცხადა: „სახელმწიფომ უნდა აწარმოვოს თავდაცვა სამხედრო პირების ბატონობისაგან. დემოკრატიის ყოველმა მომხრემ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს სამხედრო დიქტატურის. საფრთხე მოსალოდნელია ბავარიიდან.

გერმანიის მთავრობამ ვერ შესძლო ბავარიის წინააღმდეგ გამოსვლა. ჩვენ ვიცით, რომ რეიხსვერს არალეგალური კავშირი აქვს მემარჯვენე ორგანიზაციებთან და კიდევაც ვუყუჟნებთ ამას. ამიტომ ჩვენი პრესა განიცდის დევნას“.

ავიწროებენ მუშათა ორგანიზაციებს.

ბერლინი. 16 ოქტ. ლაუენში შესდგა ბავარიის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არალეგალური ყრილობა; ყრილობას საშუალება არ ჰქონდა შეკრებილიყო ბავარიაში, რადგან ის აკრძალული იყო ხელისუფლების მიერ.

ფაშისტური „სამშობლოს დამცველი კავშირები“.

ბერლინი. 16 ოქტ. ვიურტენბერგის ნაციონალისტები შევიდენ ფაშისტურ „სამშობლოს დამცველ კავშირებში“. სოციალ-დემოკრატიის ვიურტენბერგის ორგანიზაციამ უარჰყო კომუნისტების წინადადება მოქმედების ერთიან კომიტეტის დაარსების შესახებ რეაქციასთან საბრძოლველად.

გერმანიის პროლეტარიატის მთელი ნახევარი — უმუშევრებია.

ბერლინი. 18 ოქტომბ. გერმანიის პროფკავშირთა პლენუმზე, რომელიც შესდგა საიმპერიო ეკონომიურ საბჭოს დარბაზში, ორატორებმა განაცხადეს, რომ უმუშევრათ დარჩენილ ან არა საკმაოთ მომუშავე გერმანელ მუშათა რიცხვი შეადგენს მთელი გერმანიის მუშათა 50 პროც.

შეტაკებები ქუჩებში

უმუშევართა გამოსვლა

ბერლინი. 16 ოქტომბ. ბერლინში გრძელდება მღელვარება სურსათის ნაკლებობის ნიადაგზე. ქალაქის გამგეობის შენობასთან შეტაკება მოხდა უმუშევრებსა და პოლიციას შორის; მძიმეთ დაჭრილია რამოდენიმე კაცი, მსუბუქათ — 3. შეტაკება მოხდა აგრეთვე სხვა ქუჩებზედაც, სადაც პოლიციამ იარაღს მიმართა. შეტაკების დროს მოკლულია ერთი, მძიმეთ დაჭრილია სამი. ქალაქის გამგეობიდან [illegible] მუშათა რაიონებში; მსვლელობის დროს დემონსტრანტები მღეროდენ ინტერნაციონალს და აიძულებდენ გამვლელთ მოეხადათ ქუდები.

პოლიციამ მრავალი დემონსტრანტები დაატუსაღა. ამჟამათ ობერბურგომისტრსა და ბერლინის ყველა რაიონების უმუშევართა დეპუტაციის შორის სწარმოებს მოლაპარაკება.

იხევ არეულობა.

ბერლინი. 18 ოქტომბერი. ლეიპციგიდან და მ ნხეიმიდან იუწყებიან, რომ არეულობებმა კვლავ იფეთქეს.

გერმანიის ამბების გამოძახილი

ს. ს. რ. კავშირის მუშები და გლეხები მხარს უჭერენ გერმანიის პროლეტარიატს

მოსკოვი 18 ოქტომბერი. ეკატერინოსლავში, ივანოვო-ვოზნესენსკში, ტიუმენში და სხვა ადგილებში გამართულ კრებებზე ყველგან გამოაქვთ რეზოლიუციები, რომელიც მოუწოდებს გერმანიის პროლეტარიატს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლისაკენ. მუშები და გლეხები აგროვებენ შემოწირულებას გერმანიის მუშების სასარგებლოთ.

ლიტვის პროლეტარიატი მხარს უჭერს გერმანელ მებრძოლებს.

კოვნო. 16 ოქტომბერი. მუშათა ორგანიზაციების გამგეობათა სხდომაზე საფაბრიკო კომიტეტების თანდასწრებით მიღებული იქნა ლიტვის პროლეტარიატისადმი მიმართვა, რომელიც მოუწოდებს გერმანიის რევოლიუციის მხარის დაჭერისაკენ.

საქსონიის მრეწველთა ოპოზიცია

დრეზდენი. 15 ოქტომბერი. საქსონიის მრეწველები აჩერებენ და ხურავენ წარმოებებს და ითხოვენ მრავალ მოსამსახურეების. მოთხოვნილებას ხელფასის შემცირების შესახებ უყურადღებოთ სტოვებენ.

გერმანიის მთავრობის ახალი წინადადებები.

ბერლინი. 18 ოქტომბერი. ბერლინის გაზეთების პარიზელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ გერმანის ელჩის მიერ პარიზში პუანკარესადმი წარდგენილი წინადადებები ეხებიან არა მარტო საოკუპაციო ოლქებში მუშაობის განახლების საკითხს, არამედ საკონტრიბუციო საკითხს მთლიანათ.

გერმანიის მთავრობის „ღონისძიებანი“

გერმანიის ბურჟუაზია პასუხისმგებელია მუშების ყველა უბედურებისათვის.

ბერლინი. 16 ოქტ. მთავრობის დეკლარაციის გარშემო წარმოებულ კამათის დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქსონიის ლანდტაგში, სახალხო პარტიისა და ნაციონალისტების წარმომადგენლებმა სასტიკათ გაილაშქრეს მთავრობის წინააღმდეგ. მხურვალე სიტყვაში კომუნისტი ზიბერტსი მოუწოდებდა მშრომელ მასებს წინააღმდეგობა გაეწიათ რეაქციისათვის. ცეიგნერმა ხაზი გაუსვა

ნაპერწკალი, რომელიც ღვივის რურის საოკუპაციო ჯარში*)

ის ცნობები, რომელთა შეკრება ჩვენ შევძელით რურის საოკუპაციო ჯარში, ამტკიცებენ ჯარების ერთგვარ უკმაყოფილებას და ჯარის უფროსების დამახასიათებელ ნერვიულობას.

ამ უმაღლესი სარდლობის საიდუმლო მოხსენებები სრულიად პესიმისტურია. ეს ადვილი ასახსნელია: მისი ამოცანები დღითიდღე რთულდება. გენერალური შტაბის ტაქტიკა ჯარში სრულიერი განწყობილების შესანარჩუნებლად, უფრო და უფრო გამოიხატება ჯარის იზოლიაციაში გერმანულ მშრომელ მოსახლეობისაგან, რომელსაც საფრანგეთის სარდლობა თებერვალსა და მარტში [illegible] სიყვარულს უცხადებდა.

ეს პოზიცია ბუნებრივად გამომდინარეობს იმ პოლიტიკიდან, რომელსაც პუანკარე ამ ჟამად აწარმოებს რურის ოლქში. გერმანიის ბურჟუაზიის მიერ პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა თანდათანობით ამტკიცებს გერმანიის ბურჟუაზიის მიერ საფრანგეთის მთავარ-სარდლობასთან „საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დამრღვევთა“—ე. ი. პროლეტარული ელემენტების წინააღმდეგ დადებულ ხელშეკრულებას. ურთიერთობის განმტკიცება ფაშისტურ ან სეპარატისტულ ბურჟუაზიასა და საფრანგეთის გენ. შტაბს შორის, იწვევს გერმანიის და საფრანგეთის კაპიტალიზმის სამსახურში მყოფ ფარაჯაში გამოხვეული პროლეტარების იზოლიაციის ცდებს.

ასე მაგალითად ჯარისკაცებს უფლება აქვთ შევიდენ კაფეში მხოლოდ განსაზღვრული საათების განმავლობაში. ზოგიერთ ადგილებში ჯარისკაცებს შეუძლია შევიდენ მხოლოდ განსაზღვრულ რესტორანებში, სხვა რესტორანებში შესვლა კი მათ აკრძალული აქვთ. ეს ფაქტები ჩვენ შევკრიბეთ გერნეში და გოლტჰაუზენში.

ჯარები, რომლებიც დღემდე დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდენ ერთსა და იმავე რაიონში, ახლა სულ მოკლე ხნის განმავლობაში გადაყავთ ერთი რაიონიდან მეორეში.

ამავე დროს ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ფარაჯაში გახვეულ პროლეტარებს აუხვიონ თვალი, რომ მათ ვერ გაიგონ მუშათა დემონსტრაციების ნამდვილი მიზეზი და მიზანი. ანტიფაშისტური დღის, 29 ივლისის წინ, თავი მოუყარეს საფრანგეთის ჯარის ნაწილებს და მეთაურების საშუალებით გამოუცხადეს მათ, რომ „გერმანელი მუშები აგროვებენ თავის ძალებს საფრანგეთის ჯარებზე თავდასხმის მოსაწყობად“.

ეს ფაქტი ნათლათ ადასტურებს გერმანელ ფაშისტებსა და საფრანგეთის საოკუპაციო სარდლობას შორის არსებულ კავშირს, ურთიერთ გაგებას და სიმპატიებს.

აღარებულია ისეთი ფაქტები, როცა გერმანიის პოლიცია, მიუხედავათ ვითომდა არსებულ პასიურ წინააღმდეგობისა, საფრანგეთის სარდლობისადმი მადლობის ნიშნად, თავის თავზე ღებულობდა საფრანგეთის სარდლობის ბრძანებების შესრულებისათვის თვალყურის დევნებას, როგორც მუშათა კრებების დაშლის ან აკრძალვის, ისე კომუნისტური გაზეთების დახურვის ან დევნის სახით. ასეთი თანამშრომლობა ჯერ კიდევ კანცლერ კუნოს დროს დაიწყო.

როგორც რეაქცია ამ მოვლენის წინააღმდეგ, საფრანგეთის ჯარის ნაწილებში იწყება ერთგვარი წინააღმდეგობა. სრულიად ბუნებრივია, რომ ჯარში, რომლის სასურსათო მდგომარეობა გაუარესდა, რომელიც დაღლილია, რომელსაც მარკის კურსის დაცემის გამო ჯამაგირი ძლიერ ცოტა ეძლევა, რომელიც აღშფოთებულია კლერიკალიზმის პოლიტიკით და სარდლობის რეჟიმით ჯარში, რომელშიაც 1922 წლის გაწვეულებს მოელის სამხედრო სამსახურის გაგრძელების საფრთხე, რაც შეიძლება ახსნილ იყოს რევოლიუციის შიშით, — ასეთი წინააღმდეგობის შემთხვევები ხშირდება. რაც დრო გადის, ჯარის გამოკვების საქმე უარესდება და უკმაყოფილება ამ ნიადაგზე ძლიერდება.

მაგრამ საქმე მარტო ამით არ თავდება. იყო აგრეთვე ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევებიც. აბა ერთი უარჰყოს ბატონმა სამხედრო მინისტრმა, თუ მოახერხებს ამას შემდეგი ცნობები:

შეუძლებს თუ არა ის იმის უარყოფას, რომ ანტიფაშისტურ დღეს, 29 ივლისს, კოლონიალური ჯარის 43 ჯარისკაცმა ვატტენშეიდში უარი სთქვა სამსახურის შესრულებაზე?

მართალი არის თუ არა ის, რომ გერნეში 5 ჯარისკაცი ასევე მოიქცა?

მართალი არის თუ არა ის, რომ იმავე დღეს ჩამოართვეს პატრონები ტყვიის მფრქვეველთა მთელ გუნდს, რომელთაც არ ენდობოდენ: არ იყვნენ დარწმუნებული, რომ ისინი იბრძოლებენ გერმანელი პროლეტარიატის წინააღმდეგ.

შეუძლია თუ არა მას უარჰყოს, რომ კომუნისტური გაზეთი „დას რურ ეხო“ „რურის ხმა“ დახურეს საოკუპაციო ჯარში რურის პროლეტარიატისათვის ფულების შეგროვების შესახებ ცნობის მოთავსებისათვის და რომ ჯარში შეკრებილი იყო 28 მილიონი მარკა ჯერ კიდევ აგვისტოში?

მართალი არის თუ არა, რომ ობერჰაუზენში დიდი გაფიცვის დროს საფრანგეთის ჯარის სარდლობამ ქუჩებში მავთულების ბარიკადები აღმართა და განზრახვა ჰქონდა გამოეყვანა ჯარი იმ შემთხვევაში თუ გერმანელი პოლიცია ვერ გაუმკლავდებოდა გაფიცულებს?

და ბოლოს ჩვენ ვეკითხებით ბ. სამხედრო მინისტრს: რა დააშავა საზღვაო ქვეითა ჯარის 43 ჯარისკაცმა, რომლებიც 23 აგვისტოს გაძლიერებული დაცვის ქვეშ გადაიყვანეს ვერდენში?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ფაქტების გამოქვეყნება, რომელთა შესახებ იციან არა მარტო საფრანგეთში, აიძულებს ბ. სამხედრო მინისტრს მოგვცეს უფრო დამაკმაყოფილებელი პასუხი. ამავე დროს ჩვენ ვაძლევთ ფარაჯაში გამოხვეულ ჩვენს ძმებს ზოგიერთ კითხვებს და ვთხოვთ მოგვცენ პასუხი სათანადო სიფრთხილის დაცვით ან შვებულებაში წამოსულ ამხანაგების ან თავიანთი ოჯახების საშუალებით:

1. რას გრძნობთ თქვენ გერმანიის პროლეტარიატის მიმართ და როგორ უყურებთ თქვენ გერმანელ მუშებს დაპყრობილ ოლქებში?

2. შესაძლებლათ თვლით თუ არა თქვენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიაში კომუნისტურმა რევოლიუციამ იფეთქა, მოახერხებენ თქვენ გამოიყვანონ გერმანელ კომუნისტ მუშების წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ აიძულონ თავისი ქვეყნის მსხვილი სპეკულიანტები გადაიხადონ რეპარაციები?

3. ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ ასეთ ბრძანებას, რომელიც გადაარჩენს დამნაშავე კაპიტალისტებს ექსპროპრიაციისაგან, საფრანგეთის ჯარში თანაგრძნობით შეხვდებიან?

ყველა პარტიულ ამხანაგებს და კომუნისტებს, რომელთაც კავშირი აქვთ საოკუპაციო ჯართან, ვთხოვთ ხელი შეგვიწყონ ამ ანკეტის ჩატარების დროს.

დღევანდელ პირობებში, უნდა ვიხმაროთ ყოველივე ღონე, რომ დამყარებულ იქნეს კავშირი ფრანგ და გერმანელ კომუნისტებს შორის, რათა საოკუპაციო ჯარმა არ დაახრჩოს გერმანიის რევოლიუცია.

პ. ვაიან კუტიური.

---

*) იმ სულისკვეთების დამახასიათებლად, რომელიც იპყრობს საფრანგეთის საოკუპაციო არმიის ნაწილებს რურში, მოგვყავს საფრანგეთის კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ამხ. ვაიან-კუტიურის წერილი, დაბეჭდილი „ლიუმანიტე“-ში რედ.

იმ გარემოებას, რომ გერმანიის ბურჟუაზია, რომელიც მთავრობის ლონისძიებების წინააღმდეგ არის განწყობილი, პასუხისმგებელია მუშების ყველა უბედურებისათვის.

შტრეზემანის „რვა საათის სამუშაო დღე“.

ბერლინი. 16 ოქტ. იტყობინებიან, რომ კანონპროექტი სამუშაო დღის შესახებ, რომელსაც იმუშავებს შტრეზმანის მთავრობა, გულისხმობს რვა საათის სამუშაო დღის გადიდებას ერთი თვის განმავლობაში; სამუშაო დღე მოზარდთათვის და ქალებისათვის გადიდებული იქნება 1 საათით, კაცებისათვის კი—ორი საათით. იმ შემთხვევაში თუ ამას მოითხოვს ტეხნიკური აუცილებლობა, შესაძლებელია რომ სამუშაო დღე კიდევ უფრო იქნეს გადიდებული იმ პირობით, რომ ზედმეტ ნამუშევარში მიეცემათ შესაფერი ჯილდო.

სავალიუტო ბანკი.

ბერლინი. 16 ოქტ. ახალი ბანკის გამგეობის შემადგენლობაში შედიან მრეწველებისა და მემამულეების წარმომადგენლები. ახალი ბანკნოტები, რომელსაც უშვებს ბანკი, გამოვა ნოემბრის პირველ რიცხვებში.

დემონსტრაციების და კრებების აკრძალვა.

ბერლინი. 18 ოქტ. გახშირებულ ქუჩის დემონსტრაციების გამო, ბერლინის საოლქო სამხედრო უფროსი მოაგონებს მოსახლეობას, რომ დემონსტრაციები და კრებები აკრძალულია და აფრთხილებს მას, რომ ამ დადგენილების დარღვევის შემთხვევაში, სამხედრო უფროსი ამიერიდან რეპრესიულ ზომებს მიმართავს.

რეიხსტაგის უკანასკნელი სხდომა.

ბერლინი. 18 ოქტ. მომავალ სამშაბათს ან ოთხშაბათს შესდგება გერმანიის რეიხსტაგის სესიის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც საბოლოოთ უნდა იქნეს მიღებული, ახალი კანონი სამუშაო დღის შესახებ. კანონის მიღების შემდეგ სესია შესწყვეტს თავისი მუშაობას.

ახალი ბანკის დირექტორი.

ბერლინი. 18 ოქტომბერი. ახლათ დაარსებულ ბანკის დირექტორათ დანიშნულია პრუსიის ყოფილი ფინანსთა მინისტრი ლენცე.

პოლონეთის ამბები

აფეთქების მსხვერპლთა დასაფლავება.

ვარშავა. 17 ოქტომბერი. აფეთქების მსხვერპლთა დასაფლავების დროს ვარშავის ეკლესიაში კსენდზი ვოიჩაკი მოუწოდებდა მლოცველებს შური იძიათ „სამშობლოს მტრებზე“.

ეროვნული წასისიანების პოლიტიკა.

ვარშავა. 17 ოქტომბერი. „კურიერ პოლსკის“ კონფისკაცია უყვეს იმ წერილისთვის, რომელიც მიმართული იყო მთავრობის ცნობის წინააღმდეგ. წერილი აღნიშნავს, რომ მთავრობამ თავის ცნობაში დაარღვია კოდექსის ის მუხლი, რომლის ძალითაც აკრძალულია მცხოვრებლების ერთი ნაწილის მეორეზე წასისიანება.

მღელვარების შექმნაში დამნაშავეა მთავრობა

ვარშავა. 17 ოქტ. გაზეთი „რობოტნიკი“ აღნიშნავს, რომ მთავრობის პროვოკაციულმა ცნობამ კატასტროფის შესახებ და მასიურმა დატუსაღებებმა და გაძლიერებულმა სიძვირემ შექმნეს მღელვარება ვარშავაში და მთელ პოლონეთში.

ანგარიშის გასწორება კომუნისტებთან.

ვარშავა. 17 ოქტ. მთავრობა აიძულებს საგამომძიებლო ხელისუფლებას ციტადელის აფეთქებაში ბრალი დასდოს კომუნისტებს, რომ ამით საშუალება მიეცეს მას უფრო ადვილათ გაუსწორდეს მათ.

მოითხოვენ „პურს!“

ვარშავა. 17 ოქტომბერი. საგაფიცვო მოძრაობის ტალღა ფართოვდება. ეკონომიურ ნიადაგზე დაწყებული გაფიცვები იღებენ პოლიტიკურ ხასიათს. სილეზიიდან ჩამოსულ პირთა სიტყვით, გაფიცვებმა ფართო ხასიათი მიიღეს. საქმე უმსხვერპლოთ არ თავდება.

კატოვიცაში მუშათა მრავალ-რიცხოვანმა ბრბომ ალყა შემოარტყა „ვოევოდას“ შენობას და მოითხოვდა დაპატიმრებულთა განთავისუფლებას. ქალებმა, ბავშვებმა და ინვალიდებმა მოაწყვეს მშვიდობიანი მანიფესტაცია პლაკატებით, რომელზედაც ეწერა „პური.“ მანიფესტაციას თავს დაესხა ცხენოსანი პოლიცია. მსხვერპლი დიდია.

დომბროვოს სამთო-მადნო მუშათა გაფიცვა.

ვარშავა. 17 ოქტომბერი. **დომბროვოს რაიონში იფეთქა სამთო მადნო მუშათა გაფიცვამ.** მუშები მოითხოვენ ხელფასის 200 პროც.-ით გადიდებას. მემალაროეთა კონფერენციამ წინადადება მისცა დომბროვოს პროფკავშირებს დაიჭირონ ახალი კონტაქტი სილეზიის მუშებთან.

სხვადასხვა

იაპონია

ტალღების მიერ.

ვლადივოსტოკი. 16 ოქტომბერი. ზღვის ტალღებმა დაანგრიეს ქალაქი ფუკუნი

ინგლისი

რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობაში ერევიან.

თეირანი. 15 ოქტომბერი. ინგლისის მთავრობამ მოსთხოვა სპარსეთის მთავრობას შეღავათიან ტარიფის გაუქმება, რომელიც დაწესებული იყო რუსეთ-სპარსეთის საზღვარზე 1903 წ. რუსეთ-სპარსეთის შეთანხმების თანახმად.

ოსმალეთი

ს. ს. რ. კავშირისმოქალაქეების განთავისუფლება

ანგორა. 15 ოქტომბერი. ს. ს. რ. კავშირის მოქალაქეები, რომლებიც რამდენიმე ხნის წინეთ დაპატიმრებული იყვნენ, რომელთაც ბრალდებოდათ კომუნისტობა და ოსმალეთში [illegible] ბულნი არიან.

რუმინეთი

განზრახული შეთქმულება სერიოზული იყო.

ვენა. 15 ოქტომბერი. ფაშისტების მიერ შეთქმულების აღმოჩენის გამო, რუმინეთში გრძელდება დატუსაღებანი. დატუსაღებულია მრავალი ოფიცრები, პროფესორები და სტუდენტები. გამოძიებამ გამოარკვია, რომ შეთქმულება უფრო ფართო და სერიოზული იყო, ვიდრე ამას ფიქრობდენ წინეთ.

საფრანგეთი და შვეიცარია.

რომი. 18 ოქტომბერი. შვეიცარიის მთავრობამ გადასწყვიტა გადასცეს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნის საკითხი საფრანგეთ-შვეიცარიის საბაჟო ზონის გაუქმების შესახებ.

გლეხთა წითელი ინტერნაციონალი

გლეხთა საერთაშორისო კონფერენცია

საერთაშორისო გლეხთა საბჭოს ორგანიზაცია.

მოსკოვი. 17 ოქტომბერი. **კონფერენცია იღებს გლეხთა საერთაშორისო საბჭოს ორგანიზაციის პროექტს. მისი ამოცანები შემდეგია: „მთელი მსოფლიოს გლეხობის განთავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერება, მჭიდრო კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის საერთაშორისო მასშტაბით, მთელი მსოფლიოს კომინტერნის მიმდევარ მუშათა ორგანიზაციების შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარება და გლეხთა ორგანიზაციების გაერთიანება ყველა ქვეყნებში მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასამყარებლად. მსოფლიო გლეხობის ბრძოლის გაძლიერება მემამულეების და კაპიტალისტების ჩაგვრის წინააღმდეგ. გლეხთა მასების ინტერესების დაცვა და გლეხური მეურნეობის აღდგენა, მთელი მსოფლიოს გლეხთა ეკონომიურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის კავშირის განმტკიცება.**

გლეხთა საერთაშორისო საბჭოს სათავეში სდგას პრეზიდიუმი ს. ს. რ. კავშირის, პოლონეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ბულგარეთის, ჩეხო-სლოვაკიის, სკანდინავიის, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების, მექსიკის, შორეულ აღმოსავლეთის და კოლონიალურ ქვეყნების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

მიმდინარე სამუშაოს ასრულებს გლეხთა საერთაშორისო საბჭოს გენერალური სეკრეტარიატი, რომელიც აწყობს გლეხთა საერთაშორისო საინფორმაციო ბიუროს, სცემს ყოველთვიურ ჟურნალს და აარსებს აგრარულ ინსტიტუტს.

გლეხთა საერთაშორისო საბჭოს პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი დელეგატები: ს. ს. რ. კავშირიდან—სმირნოვი, პოლონეთისაგან—დომბალი, გერმანიისაგან—ბირგი, საფრანგეთისაგან—ვაზეი, ჩეხოსლოვაკიისაგან—რიდლო, ბულგარეთისაგან—გოროვი. სკანდინავიისაგან—ხერრო, ამერიკისაგან—გრინი, მექსიკისაგან—გალვაკი, იაპონიისაგან—ხაიასსო, ინდოჩინეთისაგან—აივაკი.

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

ამხ. ზინოვიევმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან აღნიშნა, რომ გლეხთა ინტერნაციონალის დაარსება 60 წლის შემდეგ მუშათა I ინტერნაციონალის დაარსებიდან არის არა შემთხვევითი მოვლენა, ვინაიდან გლეხობა მთელ მსოფლიოში დაქსაქსულია, უფრო ნაკლებად განათლებულია და უფრო ნაკლები უნარი აქვს ორგანიზაციულ მოქმედებისა.

კონფერენციის მნიშვნელობა.

ამხ. ლენინი ჯერ კიდევ არ არის სავსებით განკურნებულიო, სთქვა ამხ. ზინოვიევმა, მაგრამ ის დიდი ყურადღებით ეპყრობა გლეხთა დღევანდელ ყრილობას. დაინტერესებულია პირველ ყოვლისა მისი შემადგენლობით, მასალებით და ყრილობის ხასიათით. მუშათა მასის წინამძღოლის და ორგანიზატორის ალღო და უნარი მდგომარეობს იმაში, რომ ისტორიულ ამბების მთელი ჯგუფიდან შეარჩიოს ისეთი მოვლენები, რომელიც არის მთავარი. მიუხედავად ამისა ამხ. ლენინი იჩენს ასეთს ინტერესს ყრილობისადმი. ყრილობის შინაგანი აზრი ძალიან დიდია.

იქ, სადაც გლეხობა წინად ქედმოხრილი მისდევდა მღვდელ მემამულეთა პარტიებს, ეხლა, ომის შემდეგ, იგი ეძებს სხვა გზას. შორს არ არის ის დრო, როცა ის ივლის მუშათა კლასთან ერთად.

ისტორია მოითხოვს მუშების და გლეხების გაერთიანებას.

შემდეგ ამხ. ზინოვიევი 1905 წლის რუსეთის რევოლიუციის და ბულგარეთის აჯანყების დამარცხებას ხსნის მუშათა და გლეხთა შორის კავშირის უქონლობით.

ისტორიული აუცილებლობა მოითხოვს მუშათა კლასის გაერთიანებას გლეხობასთან. იყო დრო, როდესაც მუშათა კლასს ეს არ ესმოდა; არ იყო ერთმანეთის გაგება. კომინტერნმა უკანასკნელ წლის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რათა მოწინავე მუშის თავიდან ამოეფხვრა აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენ ვართ მხოლოდ მუშათა პარტია. ეხლა ჯერი გლეხობაზე მიდგა.

კომინტერნში შევიდენ ახალი ძალები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან სოფელთან, როგორც მაგ. ფრანგი ამხანაგი რენო-ჟანი—გლეხთა შორის მუშაობის ხელმძღვანელი საფრანგეთში, პოლონეთის გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელი დომბალი და სხვები.

გლეხთა საერთაშორისო საბჭო უნდა მოექცეს „ძირს ომი“-ს ლოზუნგის ქვეშ.

აღნიშნა რა მემამულეთა და ბურჟუაზიის უშედეგო ცდები მოეწყოთ გლეხთა მწვანე ინტერნაციონალი, ამხ. ზინოვიევმა სთქვა, რომ უკანასკნელი უკვე მოკვდა, ვიდრე გაიფურჩქნებოდა.

— თქვენ კი შეჰქმენით არა საზიზღარი ყვითელი ინტერნაციონალი, არამედ ნამდვილი გლეხთა წითელი ინტერნაციონალი.

საერთაშორისო იმპერიალიზმი ომისათვის ემზადება. მას სურს გერმანიის პროლეტარულ დიადი რევოლიუციის ჩაქრობა, რათა შემდეგ ომი გამოუცხადოს ს. ს. რ. კავშირს. გლეხებს არ უნდათ ომი, გლეხთა წითელი ინტერნაციონალი უნდა დაარსდეს შემდეგი ლოზუნგის ქვეშ: „ძირს ომი!“

ერთი უმთავრესი ბერკეტთაგანი.

— კომინტერნი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა კონფერენციის მუშაობას, იცის რა, რომ ეს არის ის უკანასკნელი ორგანიზაცია, რომელიც ჩვენ უნდა ავაშენოთ საერთაშორისო მასშტაბით, რათა ვიქონიოთ ისეთ ბერკეტების სისტემა, რომლის საშუალებითაც დავამხობთ მთელ ბურჟუაზიულ წესწყობილებას კონფერენციაზე ხდება მუშათა ინტერნაციონალის დაძმობილება გლეხთა საუკეთესო წარმომადგენლებთან საერთაშორისო მასშტაბით.

მთავარი ლოზუნგი.

ხვალინდელი დღის მთავარი ლოზუნგია: **„ძირს იმპერიალისტური ომი; გაუმარჯოს გერმანიის დიად პროლეტარულ რევოლიუციას, რომელსაც მოაქვს არა მარტო გერმანიის, არამედ მთელი მსოფლიოს და ყველა მშრომელ გლეხობის განთავისუფლება! გაუმარჯოს განუწყვეტელ [illegible] შორის.“**

კონფერენციის დახურვა.

დროშა ს. ს. რ. კავშირისაგან.

კონფერენციის უკანასკნელი სხდომა გაიმართა საზეიმოდ მოწყობილ დიდი თეატრის დარბაზში. ს. ს. რ. კავშირის გლეხთა სახელით კონფერენციას გადაეცა დროშა შემდეგი ზედწარწერით: **„გაუმარჯოს ყველა ქვეყნების მუშების და გლეხების კავშირს! გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მთავრობას!“** მიიღო რა დროშა, სხდომის თავმჯდომარემ ვაზეიმ სთქვა: „მთელი მსოფლიოს გლეხებს ბურჟუაზია ხელს უშლის შეუერთდეს მუშებს. მხოლოდ რუსეთში განხორციელდა ეს კავშირიო“.

ახალი ეტაპი საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობაში

სიტყვას იღებს ამხ. ბუხარინი, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან.

„გლეხთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია არის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა. ეხლა პროლეტარიატმა იცის, რომ მას შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასთან ერთად იბრძოლებს გლეხობაც. რუსეთის პროლეტარიატის მაგალითზე ნათელი გახდა მუშათა და გლეხთა შორის მჭიდრო კავშირის აუცილებლობა. დღევანდელ მღელვარე მომენტში მუშათა და გლეხთა კავშირი განსაკუთრებით საჭიროა და ამას გრძნობენ სხვა ქვეყნების გლეხობა და მუშები.

ბულგარეთში მომხდარმა ამბებმა დაამტკიცა, რომ გლეხებს არ შეუძლია განთავისუფლება მუშების გარეშე: ბულგარეთის გლეხების აჯანყება დამარცხდა, ვინაიდან მათ არ ჰქონიათ კავშირი მუშებთან. გერმანიაში მშრომელთა მასების წინაშე სდგას ამჟამად მოწინააღმდეგე, რომლის დამარცხება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გერმანიის პროლეტარიატი და გლეხობა ერთად გამოვლენ.“

ამხ. რადეკის სიტყვა.

ამხ. რადეკი თავის სიტყვაში ეხება ომის და მშვიდობიანობის საკითხს.

„ევროპა იმყოფება დიდი შეხლაშემოხლის მოლოდინში, — ამბობს ამხ. რადეკი — თუ საფრანგეთის და გერმანიის გლეხობა არ განთავისუფლდება ბურჟუაზიის გავლენისაგან, საფრანგეთის ბურჟუაზია შეეცდება გერმანიის დაპყრობას. ეს გამოიწვევს ეროვნულ ომს გერმანიის გლეხობის ბრძოლას თავისი მიწისათვის. რუსეთი მშვიდობიანობისაკენ ილტვის. ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ საფრანგეთის და გერმანიის მუშურ გლეხურ მასებს ყოველი ძალღონით ხელი შეუშალონ მოსალოდნელ ომს.

ინტერნაციონალის სიმღერით კონფერენცია იხურება.

გლეხთა საერთაშორისო საბჭოს პირველი სხდომა.

მოსკოვი. 17 ოქტ 16 ოქტომბერს გაიმართა გლეხთა საერთაშორისო [illegible] ლურ მდივნად არჩეულ იქნა მიწათმოქმედების სახ. კომისარი ამხ. სმირნოვი, მის მოადგილეთ ამხ. დომბალი. საბჭომ დაადგინა გამოსცეს ყოველთვიური ჟურნალი და მოსკოვში გახსნას გლეხობის სააგრარო ინსტიტუტი.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ფიმმენის*) მოწოდება გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად

24 სექტემბერს ფიმმენმა წარმოსთქვა სიტყვა რკინისგზელთა კრებაზე პრაგაში. ფიმმენმა დახატა მსოფლიო რეაქციის ზრდის სურათი. რეაქციის გაძლიერების მიზეზია მუშათა კლასის შეუკავშირებლობა, მისი ძალების დაქსაქსვა. მთავარი შეცდომა სთქვა ფიმმენმა, ის არის არის, რომ მუშათა კლასში ორივე მიმდინარეობა ომის შემდეგ უწოდებდა ერთი მეორეს ან კაპიტალის ან მოსკოვის ლაქიებს. დადგა დრო როცა პროლეტარიატი გონს უნდა მოვიდეს და გააერთიანოს თავისი რიგები. გერმანიაში ახლო ხანში მოხდება რევოლიუცია და გერმანიის მუშები დამარცხებული იქნებიან თუ სხვა ქვეყნის მუშები ხელს არ შეუშლიან თავიანთ ბურჟუაზიას გერმანიის ბურჟუაზიისათვის დახმარების გაწევაში.

დეე, წყეულ იყოს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი თუ ის ამ საბედისწერო მომენტში არ დაეხმარება თავის გერმანელ მოძმეებს,—სთქვა ფიმმენმა.

ფიმმენმა სიხარული გამოსთქვა იმის გამო, რომ ჩეხო-სლოვაკიაში პირველათ იქნება გატარებული ცხოვრებაში ტრანსპორტის მუშების ბერლინის კონფერენციის დადგენილება ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. თუ ჩეხო-სლოვაკიის რკინისგზელების ცდა გამარჯვებით დაგვირგვინდა, ეს ხელს შეუწყობს მუშათა რიგების გაერთიანებას მთელს ევროპაში.

დასასრულ ფიმმენმა აღიარა, რომ ომამდი მხოლოდ სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთამ შეაფასა სწორად მომენტი და განჭვრიტა მოსალოდნელი შესაძლებლობანი

ფიმმენმა ერთხელ კიდევ მოუწოდა კრებას ერთიანი ფრონტისაკენ და შემდეგი გაფრთხილებით მიმართა მემარჯვენე სოციალისტებს: „ამხანაგებო! ვინც თქვენთაგან საბოტაჟს უწევს ერთიან ფრონტს მემარცხენე დიქტატურის შიშით, ის ნიადაგს უმზადებს შავ დიქტატურას“.

---

*) პროფკავშირთა ამსტერდამის გაერთიანების მდივანი.

პროფინტერნში

აღმასრულებელ ბიუროს სხდომა

აღმასრულებელ ბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ჩეხოსლოვაკიის სამთომადნო მუშათა გაფიცვის და რუმინეთის პროფკავშირთა კონგრესის შესახებ.

მომხსენებელმა ჩეხო-სლოვაკიის სამთომადნო მუშათა გაფიცვის შესახებ ილაპარაკა შემდეგი: გაფიცვის დასაწყისშივე, რომელიც უკვე 7 კვირაა გრძელდება საერთაშორისო საყოველთაო პროფესიონალურმა კავშირმა, რომელიც ემხრობა პროფინტერნს, წინადადება მისცა რეფორმისტებს მოეწვიათ გაერთიანებული კონფერენცია, რომელზედაც უნდა განხილულიყო საკითხი იმის შესახებ თუ როგორ გაეწიათ დახმარება გაფიცულთათვის, მით უმეტეს იმის გამო, რომ მუშაობა შახტების დასაცავად სწარმოებდა და ნახშირს განუწყვეტლივ ეზიდებოდენ სილეზიიდან ჩეხო-სლოვაკიაში, ხოლო გაფიცვა მოსალოდნელი იყო დიდი ხნით გაგრძელებულიყო. ეს კონფერენცია მოწვეულ იქნა. საერთაშორისო საყოველთაო პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლები ამ კონფერენციაზე გამოვიდენ შემდეგი მოთხოვნილებით: 1) მოწვეულ იქნეს გაფიცვის საკითხის განსახილველათ ჩეხო-სლოვაკიის სამთომადნო მუშათა ყველა კავშირების კონფერენცია, ყველა მუშათა პარტიების წარმომადგენლებთან ერთად, 2) გაეწიოს დაუყოვნებლივი ფინანსიური დახმარება გაფიცულებს; 3) გაეგზავნოს მიმართვა ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ფედერაციის წინადადებით, რათა მან მოუწოდოს სილეზიის რკინისგზელებს უარი სთქვან ჩეხო-სლოვაკიაში ნახშირის შემოტანაზე, იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლები უარს იტყვიან სამთომადნო მუშათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, გამოშვებული იქნეს მოწოდება საყოველთაო გაფიცვისაკენ. კონფერენციამ დაადგინა პროფინტერნის მომხრეების წინადადებები განხილულ იქნეს სამთომადნო მუშების მომავალ კონფერენციაზე.

აღმასრულებელმა ბიურომ დაადგინა დაარსდეს კომისია, რომელსაც დაევალება დირექტივების შემუშავება ჩეხო-სლოვაკიის რევოლიუციონურ პროფორგანიზაციებისათვის იმ საკითხის შესახებ, თუ რა ტაქტიკას დაადგენ ამ გაფიცვაში.

შემდეგ აღმასრულებელმა ბიურომ მოისმინა ცნობა რუმინეთის პროფკავშირთა კონგრესის მსვლელობის შესახებ. რუმინეთის სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც ჰამბურგის კონგრესამდე გაიძახოდენ პროფკავშირების დამოუკიდებლობის და აპოლიტიურობის შესახებ, მის შემდეგ აშკარათ განაცხადეს, რომ რუმინეთის პროფესიონალური მოძრაობა უნდა ჩადგეს სოციალ-დემოკრატიულ კალაპოტში. უკვე ამ დროიდან თავს იჩენს მათი მისწრაფება გათიშვისაკენ და მათ კიდეც მოიწვიეს პროფკავშირთა საგანგებო კონგრესი გათიშვის საბოლოოთ გასატარებლათ. კონგრესის დღის წესრიგის მთავარ საკითხს შეადგენდა საკითხი ამსტერდამის ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ. პროფინტერნის მომხრეებმა— რომლებიც რუმინეთის პროფესიონალურ მოძრაობაში სარგებლობენ დიდი უმეტესობით, არ სურდათ რა გათიშვის შეტანა ორგანიზაციაში,— მოითხოვეს კონგრესზე სრულებით არ დასმულიყო საკითხი ამსტერდამთან ან პროფინტერნთან შეერთების შესახებ და წამოაყენეს თავიანთი დღის წესრიგი—მუშათა მოძრაობის გადაუდებელ საკითხების მთელი რიგი.

მაგრამ, რასაკვირველია, რეფორმისტებმა თავის განზრახვებზე ხელი არ აიღეს, რადგანაც ჯერ კიდევ კონგრესამდე შეუთანხმდენ შრომის და შინაგან საქმეთა მინისტრებს იმის შესახებ, თუ როგორ ჩაეტარებიათ ის. კონგრესი დანიშნული იყო კლაუზენბურგში, რადგანაც ამ ქალაქში გამოცხადებული იყო საალყო წესები. პოლიციის თვალსაზრისით, ჩინებული იყო კონგრესის მეთვალყურეობა. გარდა პოლიციის გაძლიერებულ რაზმებისა, რომლებიც მორაგეობდენ კარებთან, პოლიციის აგენტები იმყოფებოდენ თვით დარბაზშიაც; ამასთან ერთად პრეზიდიუმის მიერ მიჩენილ მაგიდასთან იჯდა პრეფექტი მთელი თავისი შტაბით. ამრიგათ, თავიდანვე ცხადი იყო, რომ რეფორმისტების „გამარჯვება“ უზრუნველყოფილი იქნებოდა.

კონგრესზე მონაწილეობას ღებულობდა 275 დელეგატი. მაგრამ ვისკენ იყო ნამდვილი უმრავლესობა? ცხადი იყო თავიდანვე, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმისტების მიერ დანიშნულმა სამანდატო კომისიამ (ამხანაგები, რომლებიც წამოაყენეს პროფინტერნის მომხრეებმა სამანდატო კომისიაში, დაპატიმრებულ იქნენ პირველ დღესვე) გააუქმა რევოლიუციონური მუშების 8000 ხმა. კონგრესის მესამე დღეს 275 დელეგატიდან დარჩა მხოლოდ 95 და 80 ხმით დადგენილ იქნა შეერთება ამსტერდამის ინტერნაციონალთან. ეს კონგრესი ერთი საუკეთესო მაჩვენებელია რეფორმისტების ტაქტიკის, რომელთაც იმდენათ ეჯავრებათ პროფინტერნის მომხრეები, რომ უარი სთქვეს უკანასკნელების დარბაზში შეშვებაზე იმის შემდეგაც კი, როდესაც მათ. მთლიანობის შენარჩუნების მიზნით თანხმობა განაცხადეს ამსტერდამელების ყველა წინადადების მიღებაზე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

კომპარტიის დროშის ქვეშ.

კიევი. 17 ოქტ. 27 ძველ მენშევიკებისაგან შემდგარმა ჯგუფმა გამოაქვეყნა მიმართვა ყველა მენშევიკებისადმი, რომელშიაც იგი მოუწოდებს მათ დადგნენ კომპარტიის დროშის ქვეშ.

დოსტაქრების ყრილობა.

ოდესა. 17 ოქტ. 8 წლის შეწყვეტის შემდეგ გაიხსნა დოსტაქრების საგუბერნიო ყრილობა; რომელსაც ესწრებიან მეცნიერულ დარგში მრავალი მომუშავენი. გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა ამხ. ლენინს, და უკრაინის განათლების სახ. კომისარს ამხ. ზატონსკის.

სოფლების ელექტროფიკაცია.

რიბინსკი. 17 ოქტ. ვოლოდარის თემში კურგანის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა აწყობს ელექტრონის განათებას სოფლებში.

[illegible] კომისარ ამხ. [illegible]

მოსკოვი. 17 ოქტ. ფინანსთა სახ. კომისარმა ამხ. სოკოლნიკოვმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ წელს ფულის ნიშნების დენომინაცია განზრახული არ არისო. ახალი ფულის ნიშნები გამოშვებული იქნება რამდენიმე კვირის შემდეგ, გამოშვებული იქნება მანეთები 1923 წლის ნიმუშისა. ახალი ფულები იქნება გამოშვებული ს. ს. რ. კავშირის სახელით, ნაცვლად რ. ს. ფ. ს. რ. ფულის ნიშნებისა.

დებულება ს. ს. რ. კავშირის ცაკის შესახებ.

მოსკოვი. 17 ოქტ. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ მიიღო დებულება ს. ს. რ. კავშირის ცაკის შესახებ. დებულებას საბოლოოდ დაამტკიცებს საკავშირო ცაკის მომავალი სესია.

ციმბირი თორმეტ ჰაეროპლანს აშენებს.

ნოვონიკოლაევსკი. 17 ოქტ პარასკევს ჰაეროპლანი „სიბრევკომი“ მოფრინდა ბარნაულში, სადაც მას მრავალრიცხოვანი საზოგადოება მიეგება. მიესალმა ალტაიზე პირველად მოსულ ჰაეროპლანს. გამართულ მიტინგზე რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრი მოუწოდებს დამსწრეებს მოაგროვონ შემოწირულება საჰაერო ფლოტის შექმნისათვის და შეასრულონ ციმბირის მოხალისე ფლოტის ლოზუნგი ციმბირის მიერ 12 თვითმფრინავის აგების შესახებ.

პეტროგრადის ნავთსადგურით.

პეტროგრადი. 17 ოქტ. შაბათს და კვირას ნავთსადგურში მოვიდა 23 ხომალდი, ნავთსადგურიდან გავიდა 12; აქედან 2—გერმანიაში, 2,000 ტონა ქვავით.

ოქტომბრის პირველი ნახევრის განმავლობაში ნავთსადგურში შემოვიდა 2,750 ვაგონი საექსპორტო ტვირთი, აქედან 1.500 ფუთამდე ქვავი.

ს. ს. რ. კავშირში.

[illegible] ც. კ—ის პლენუმი.

მოსკოვი. 18 ოქტ. რ. ახალგაზრდათა კომკავშირის ც. კ—ის პლენუმზე ამხ. შოხინმა მოხსენება გააკეთა გლეხურ ახალგაზრდობისათვის სკოლის მოწყობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია ახალგაზრდა გლეხებისათვის მომავალ ზამთრის განმავლობაში 3 წლიან სკოლის დაარსების საჭიროება. სკოლების მიზანი იქნება—საბჭოთა გლეხების კადრის მომზადება. პროგრამას საფუძვლად დაედება სასოფლო მეურნეობის პრაქტიკული შესწავლა. განათლების სახალხო კომისარიატმა სავსებით მიიღო ც. კ-ის წინადადება და სოციალურ აღზრდის მთავარ სამმართველოსთან ახალგაზრდა გლეხობის სკოლის სპეციალურ განყოფილების ორგანიზაცია შეუდგა.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დახურვა.

მოსკოვი. 18 ოქტომბერი. საკავშირო გამოფენის ოფიციალური დახურვა დანიშნულია 21 ოქტომბრისათვის.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

ნავთსადგურში.

ბათომი. 14 ოქტომბერი. წავიდა ლონდონში ინგლისის გემი „ტიურგო“, რომელმაც წაიღო 6,300 ტონა ნავთი. ნავთსადგურში მოვიდა ოსმალეთის გემი „ანგორა“, რომელსაც გზაში მოუსწრო ქარ-ბუქმა.

ამერიკული შაქარი.

ბათომი. 14 ოქტომბერი სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ბათომის განყოფილება მოელის უცხოეთიდან 3506 ტომარა ამერიკულ შაქარს.

ჰიდროსადგურის აგება.

ბათომი. 14 ოქტომბერი. კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ წინადადება მისცა ყველა ქვე-განყოფილებებს შეიტანონ კომუნალური განყოფილების სალაროში 10 პროცენტი საერთო შემოსავლიდან აჭარის წყალის ჰიდროსადგურის ასაგები ფონდის გასაძლიერებლათ

აფხაზეთი

მუშათა ყოფა-ცხოვრების შესწავლა.

სოხუმი. 14 ოქტომბერი. პროფკავშირთა საბჭოსთან დაარსდა მუშათა ყოფა-ცხოვრების შესწავლის კომისია. შემუშავებულია მომავალი მუშაობის ძირითადი დებულებები.

დრანდის მონასტერი სამკითხველოთ.

სოხუმი. 14 ოქტომბერი. გუმისტინის მაზრის სოფ. ესტონკის მშრომელებმა აღძრეს შუამდგომლობა დრანდის მონასტრის სამკითხველოთ გადაკეთების შესახებ.

წითელი ჯვრის მოღვაწეობის გაფართოვება.

სოხუმი. 15 ოქტ. წითელი ჯვრის მოღვაწეობა ფართოვდება. განზრახულია: 1) გაიხსნას სანატორია 25 კაცისათვის, 2) მოეწყოს საექიმო პუნქტები და 3) მოეწყოს მალიარიის წინააღმდეგ მებრძოლი ექსპედიციები. საშუალებები აღნიშნულ ღონისძიებათა გასატარებლათ დგება, გარდა სახელმწიფოს მიერ გაღებულ თანხებისა, შემოწირულებათა და საწევრო გადასახადებისაგან. საქართველოს წითელი ჯვრის რწმუნებულათ დაინიშნა აფხაზეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემერჯიევი.

ბანდიტიზმის ლიკვიდაცია.

სოხუმი. 15 ოქტ. გუდაუთის მაზრაში ადგილობრივ მცხოვრებლების მიერ მოკლულია ბანდიტი შაქირ ჩოლაკ ოღლი, რომელსაც დიდხანს ტერორის ქვეშ ჰყავდა დაყენებული მთელი მაზრა.

სამხრეთ-ოსეთი.

საბჭოთა პარტიული სკოლები

ცხინვალი. 15 ოქტ. ამ დღეებში ცხინვალში გაიხსნება სამხრეთ-ოსეთის პირველი საფეხურის საბჭოთა პარტიული სკოლა, რომელიც განზრახულია 50 კაცისათვის; ადგილების ერთი მესამედი დათმობილი აქვთ ქალებს. სწავლება იწარმოებს ოსურ ენაზე.

ოსური გაზეთი.

ცხინვალი. 15 ოქტ. ამ დღეებში ცხინვალში ოსურ ენაზე გამოვა საოლქო პარტკომისა და სამხრეთ ოსეთის ცაკის პოლიტიკური ორგანო „ხურზალინ“-ი (ამომავალი მზე).

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გაზეთ „კომუნისტი“-ის რედაქტორს.

ამხ. ბარონ ბიბინეიშვილის გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციაში გამოწ[illegible] ღილით შემოგვაქვს გერმანელ მუშათა სასარგებლოთ: 1. ი. მ. ლორთქიფანიძე—1 ჩერვონეცი, 2. რ. გ. დუმბაძე—1 ჩერვონეცი, 3. ი. ს. მენაბდე—1 ჩერვონეცი, 4. ლ. ს. ხუნდაძე—64 მილ.

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქტორს.

ამხ. კარლო ორაგველიძის გამოწვევაზე შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ ფონდის გასაძლიერებლად 1 ჩერვონეცი, და ჩემის მხრივ ვიწვევ ს. ა. კ. ა. სამაზრო და საოლქო კომიტეტების პრეზიდიუმის წევრებს.

გ. დევდარიანი.

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

პასუხად კ. ჩხენკელისა და უმბრიევისა შემომაქვს გერმანიის რევოლ. პროლეტარიატის სასარგებლოთ ერთი ჩერვონეცი—და მასთან ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ვ. სტურუას, ვარძიელს და კახიანს.

პ. საბაშვილი.

ამხანაგო რედაქტორო!

ამხ. ჰიმენ დვალის გამოწვევის თანახმად შემომაქვს გერმანიის მუშების დასახმარებლად ერთი ჩერვონეცი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1. ვ. მ. ჯგალაძეს, 2. ს. გულბონს, 3. ნ. გახარიას, 4. ი. კიზირიას, 5. ს. ნიკო ძეს, 6. ბ. ბერიას, 7. ვანო ჩაკვეტაძეს, 8. დათიკო კობახიძეს, 9. ივ ძეს, 10. გ. კოსტანიანს. კვარაცხელიას,

კ. სტურუა.

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას.

გერმანიის პროლეტარიატის დასახმარ ფონდში შემომაქვს ერთი ჩერვონეცი.

ამხ. პატივისცემით **ნ. ზომლეთელი.**

გაზ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამხ. ლადო დუმბაძის გამოწვევის საპასუხოთ ვარდგენ 62,800,000 (ერთ ჩერვონეცს) გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ. ჩემის მხ ვიწვევ ამხ. კლ. სულავას (ჭიათურა), არტემ ბარამიძეს (ოზურგეთი), პეტ მიქაძეს (ლანჩხუთი), ვალიკო აზიანიძეს (ქუთაისი), ქუთაისის ფარ გამგეს ნიჟარაძეს.

დ. კომახიძე.

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამით გაახლებთ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ 10 მ მან. და ვიწვევ: ალექსი ლებედევს, სერგო ლოლობერიძეს, ადამ გოლოვ გასილავა ანტონს, გასილავა ევგენს, გერასიმე ტერ-ოვანესოვს, ალექსანდ მიქაძეს, ალექსანდრე მალაკელიძეს, სოფრომ კიკნაძეს, ლეონარდ ბეძი კის, დიმიტრი ბურჯანაძეს და ი. გუჯუშვილს.

ბ. მიქაძ

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას

თანახმათ ამხ. მიქელაძის გამოწვევისა ვსწირავ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ 10 მილიონს და ვიწვევ გურგენიძე დიმიტრის, ქაჯ რავა კორნელის. თაყაიშვილს, დეძირბაშევს, ვარლამ მესხის ჟუნპკოშვილ ოთარის, კლიმიაშვილს ზაქროს, დოლიძე გიორგის.

გიორგი წულ

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამხ. აშხენ უმბრიევას გამოწვევის საპასუხოთ ვსწირავ ოქროს ბეჭ გერმანიის პროლეტარიატის ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ იმავე რებულობის შეწირვით ამხ. ქალებს. 1. ნინა კაზბილევსკისა, 2 ელ დანიელოვასა, 3. თამარა კოკაშვილისა, 4. შიპილოვისა, 5. მარი ქავჭავაძისა, 6. დარო გაბარაშვილისა, 7. მარია გრიგორიევის 8. მატაფევისა (მთავარ სახელოსნოს კანტორის მოხელე 9. ალექსანდრა კოზაროვისა, 10. ვარვარა კალაძისა, 11. პელაგია ზაქ ძისა, 12. ვ. სიდოროვისა, 13. დ. ხუბულურისა, 14. მართა ხუბულური 15. ტასიკო ზაზაძისა, 16. ანეტა ანასტასიადისა, 17. ლიზა დაუშვილის 18. ლიზა ბოლოტაშვილისა, 19. ელიზავეტა ტიბიაკინისა, 20. სოფ რთველიაშვილისა, 21. ოლა კაპანაძისა, 22. ს. გარიშვილისა, 23. ვ. მაჩ ლასი და 24. ი. მაგილნისა.

ამხ. ქალებო, ნუ ჩამორჩებით საერთო საქმეს, დროა ჩვენც მაღლოთ ხმა, ჩვენს დახმარებას მოელის გერმანიის პროლეტარიატი. გამოძახილი არის საერთაშორისო მუშათა შეკავშირება.

[illegible]

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამხ. აშხენ უმბრიევის გამოწვევის საპასუხოთ ვსწირავ ერთ მა ვერცხლის ფულით და ვიწვევ ამხ. ქალებს: 1. მელანია ჯაიანისა, 2. მარ ფურცელაძისა, 3 თამარა შატბეროვისა, 4. მარო გედევანიშვილისა, 5. ტრონა კაკაბაძისა, 6. მარია მისკინოვისა, 7. ნინა კიზირია, 8. ნატ გარსევანოვისა, 9. ს. ჩრდილელისა, 10. ვარა ელიაშვილისა, 11. პელ ნოზაძე, 12. ნინა ნოზაძე, 13. კატუშა ხუბულურისა, 14. ბაბულია სამ ლოვისა, 15. კატუშ გველესიანისა, 16 მარგალიტა დონგაძე, 17. ანნა თუნიკაშვილისა, 18. მარუსა საზანდრიშვილისა, 19. ნინა გაბუნიასა, საშა ტოკაძისა.

ეკატერინე გობირახაშვილისა.

შემოვიდა 18 ოქტომბერს

1. გ. ლორთქიფანიძე 1 ჩერვონეცი, 2. რ. დუმბაძე 1 ჩერვონ 3. ი. მენაბდე 1 ჩერვონეცი, 4. გ. დევდორიანი 1 ჩერვონეცი, 5. ლ. ხ დაძე 64 მილ. მან., 6. პ. საბაშვილი 1 ჩერვონეცი, 7. კ. სტურუა 1 ჩერ ვონეცი, 8. ნ. ქურიძე 1 ჩერვონეცი, 9. დ. კომახიძე 62.800.000, 10. წით. ჯვრის საზოგ. 289.400.000, 11. ბ. მიქაძე 10,000,000 მან. 12. გ. წ ლაძე 10,000,000 მან. 13. გ. კუზანოვი 5,000,000 მან. 14. ა გოგი ლისაგან ერთი თვლიანი ოქროს ბეჭედი 15, ნასყიდაშვილისაგან ერთი ვერცხ. კოვზი და ერთი მანეთი ვერცხლით. 16. ე. გობერაზაშვილის ერთი მანეთი ვერცხლით.

სულ 7 ჩერვონეცი, ერთი ოქროს ბეჭედი, ერთი ჩაის ვერცხლის კო ორი ვერცხლის მანეთი და 441.200000 მანეთი. **წინეთ შემოსულით** ჩერვონეცი, ნახევარი გირ. ინგ. სტერლინგი, 3 ოსმალური ქაღ. ლირა, თი ოქროს ჯვარი, ოთხი ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს სამაჯური, ერთი როს საგული, ერთი ვერცხლის ჩაის კოვზი, რვა ვერცხლის მანეთი 2.415. 882.000 მანეთი.

ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებ გამოფენისათვის

ცენტრალურ კომიტეტების და საოლქო კომიტეტების სააგიტ.-საპრ განყოფილებებს, გამომცემლობათა და რედაქციებს.

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ცირკულიარის № 85 დამატებად ბეჭდვითი სიტყვის გამოფენის ორგანიზაციის შესახებ გაუწყებთ ცნობად და სახელმძღვანელოთ ორგანიზაცის გეგმას და ტეხნიკას.

1. მთელი მოსამზადებელი მუშაობა გამოფენისათვის უნდა იქნას შესრულებული ადგილებზე (ცეკას და საოლქო კომიტეტების სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილებათა ხელმძღვანელობით. რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სააგიტ საპროპაგანდო განყოფილება ასრულებს და აერთიანებს მთელ მუშაობას ადგილებზე.

2. რესპუბლიკის ყველა გამომცემლობანი და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები გაერთიანებული იქნებიან ერთ საერთო რესპუბლიკანურ პავილიონში. გამოფენაზე უნდა იქნან წარმოდგენილი საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის და აგრეთვე სათანადო ავტონომიურ რესპუბლიკების პავილიონები და ყველა საოლქო გამოცემათა და გაზეთების პავილიონი რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტთან ერთად. გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად მიწვეულია რ. ს. ფ ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობის ამიერ-კავკასიის განყოფილება.

3. საჭიროა გამოფენაზე წარმოდგენილ იქნას გასაბჭოების შემდეგ გამოცემული ყველა წიგნების, ბროშიურების, სახელმძღვანელოების მუშები, არალეგალური ლიტ რა, დაბეჭდილი გაზეთები და

გარდა ამისა, საჭიროა დამ ბულ იქნას გამოფენისათვის რამები, რომელიც დაახასი ბეჭდვითი საქმის განვითარების ვარ მომენტებს ამიერ-კავკასიაში სახელდობრ:

ა) ბეჭდვითი საქმის მდგომ ბას საბჭოთა ხელისუფლების რებამდე და მის შემდეგ.

ბ) ბეჭდვითი საქმის ყოველ ურ ზრდას საბჭოთა ხელისუფ დამყარების შემდეგ.

გ) წიგნების და გაზეთების

დ) მკითხველთა რიცხვის ზ

ე) სხვადასხვა საკითხებში მათა რაოდენობის ზრდას.

ვ) გამოცემათა ზრდას ერ ენებზე და სხვა.

4. გარდა წიგნებისა და მებისა აუცილებლად წარმოდგენილ იქნას საგ პლაკატები, კარიკატურები, დებანი, ფურცლები, რუქები, რების კორესპონდენციების ნ ბეჭდვითი საქმის მუშაკთა რაფიული სურათები, რედაქციები, შრიფტის ნიმუ სხვა.

ბეჭდვითი საქმის ორგანო ძლიათ წარმოადგინონ გაზეთ მუშები განვითარების სხვ მომენტებში. (გაზეთის არალ პირობებში გამოცემის სურათ

იქნას წარმოდგენილი რაც შეიძლება სრულად).

5. ძალიან სასურველია გამოფენაში რევოლუციის მუზეუმების, პროლეტ-კულტის სამხატვრო სახელოსნოების, პოლიგრაფიულ განყოფილებათა, ქაღალდის ტრესტების, ფოტოგრაფიულ ატელიეების და სამხატვრო-სასტამბო დაწესებულებათა მონაწილეობა, რომელთაც აქვთ დამოკიდებულება ბეჭდვითი საქმესთან.

6. საორგანიზაციო მუშაობა ადგილებზე უნდა იქნას დამთავრებული რაც შეიძლება ჩქარა და 25 ოქტომბრისათვის მთელი მასალა უნდა გაიგზავნოს ტფილისში.

თვითეულ პავილიონს უნდა ჰყავდეს თავისი გამგე, რომელსაც დაევალება მთელი პრაქტიკული მუშაობის შესრულება ადგილზე პავილიონის მოსაწყობად. საგიტ საპროპ. განყოფილებებს ევალებათ დაუყოვნებლივ გამოჰყონ აღნიშნული ამხანაგები, რომელთაც უშუალო კავშირი უნდა დაიჭირონ რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საგიტ-საპროპაგ. განყოფილებასთან.

7. გამოფენაზე მოწყობილი იქნება კიოსკები ლიტერატურის გასასყიდათ რის გამოც გამომცემლობებმა თადარიგში უნდა იქონიონ თავიანთი გამოცემათა ეგზემპლიარების საკმაო რაოდენობა.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის კომიტეტის საგიტ საპროპ. განყოფილება

პარტიული ცხოვრება

ქ. ფოთი

17 ოქტომბერს შესდგა გაერთიანებული კრება ს. კ. პ. ფოთის ორგანიზაციის, რომელსაც დაესწრო დაახლოვებით სამას კაცამდე.

მოხსენება გერმანიის მდგომარეობის შესახებ გააკეთა ამხ. თენგიზ ელენტმა, რომელმაც ფართოდ გააშუქა გერმანიაში მომქმედ ძალთა დამოკიდებულება და აღნიშნა, რომ გერმანიის პროლეტარიატის აქტივობა დღითი დღე იზრდება. რაც მთელი ქვეყნის მუშათა კლასის საერთო ყურადღებას იპყრობს.

თავის მოხსენების დასასრულში მან მოუწოდა ფოთის ორგანიზაციის წევრებს ენერგიული კამპანია აწარმოონ გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდის გასაძლიერებლათ.

მოხსენების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. თ. ელენტისა გერმანიის მდგომარეობის შესახებ ქ. პ. ფოთის ორგანიზაციის გაერთიანებული კრება, იგონებს გერმანიის მებრძოლ მუშათა კლასის მიერ გაღებულ მსხვერპლს საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად რუსეთში, ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ გერმანიაში სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვება თავდები იქნება რუსეთის დიდი ოქტომბრის გადაქცევის მსოფლიო ოქტომბრად.

ყოველივე ამის გამო ჩვენ მზად ვართ გერმანიის პროლეტარიატის დახმარებისთვის მსოფლიო რეაქციის გასანადგურებლად და სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებისთვის ევროპაში.

ძირს მსოფლიო შავი რეაქცია.

კრება ადგენს: ფოთის ორგანიზაციის თვითეულმა წევრმა გერმანიის პროლეტარიატის ფონდის გასძლიერებლათ გაიღოს ერთი დღის ნამუშევარი.

ხ. გ—ძე.

ს. კეხი-ჯვარი (ქარელის რაიონი)

ამა წლის 14 ოქტომბერს შესდგა. ს. კეხი-ჯვრის კომუჯრედის მორიგი კრება, კრებას ესწრება სამაზრო პარტკომის ინსტრუქტორი ამხ. დ. გოგორიშვილი, თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ამხ. ა. თედეშვილი მდივნათ კი ამხ. ვ. თებლაშვილი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები—1. მოხსენება თანამედროვე მომენტზე 2. ოქტომბრის დღეს. და მისი მნიშვნელობა 3. დახმარება გერმანიის პროლეტარიატს.

მოხსენება თანამედროვე მომენტზე გააკეთა ამხ. გოგირიშვილმა, რომელმაც ვრცლად აღნიშნა გახრწნა მსოფლიო კაპიტალიზმისა, რომლის აღსასრულის დღე თანდათან ახლოვდება.

გერმანიის ეკონომიური კრიზისი, სადაც სწარმოებს გარდამწყვეტი ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის ამის უტყუარი მომასწავებელია. ვერც ფაშიზმი და ვერც სხვა რომელიმე რეაქციონური პარტია ვერ იხსნის სასიკვდილოთ განწირულ კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა ამხ. გოგორიშვილის მოხსენება თანამედროვე მომენტზე, კეხი-ჯვრის კომუჯრედი სიხარულით ხვდება საქსონიაში წითელი მთავრობის შედგენას, მხურვალე ძმურ სალამს უძღვნის გერმანიის პროლეტარიატს და გამოვსთქვამთ რწმენას, რომ ბერლინში და მთელ გერმანიაშიც სავსებით გაიმარჯვებს მუშათა კლასი და მისი ავანგარდი კომპარტია.

ძირს ფაშიზმი!

გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატს!

გაუმარჯოს პროლეტარიატის ერთიან ფრონტს.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ ოქტომბრის დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გოკორიშვილი, რომელმაც მოუწოდა ამხანაგებს ოცდა ხუთი ოქტომბრის (17 ნოემბერს) დღესასწაულის მწყობრათ და ღირსეულად ჩატარებისკენ.

მესამე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. თებლაშვილმა, და მოუწოდა კრებას, რათა გაეწიათ უპარტიო მასაში აგიტაცია გერმანიის პროლეტარიატისათვის მატერიალური დახმარების შესახებ. კრებამ ღებულობს ამხ. თებელაშვილის წინადადებას; ამასთანავე არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდის გაძლიერებისათვის შემოწირულებათა შეგროვებ. კრებაზე დამსწრეებმა აქვე გაიღეს თავისი წვლილი.

თ. გ.

ტფილისის საბჭოს სექციებში

კომუნალურ განყოფილების სექციაში

17 ოქტომბერს შესდგა ტფილისის საბჭოს კომუნალურ განყოფილების სექციის სხდომა, რომელზედაც ამხ. დიასამიძემ გააკეთა მოხსენება.

წყალსადენის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ

წყლის აღრიცხვა. თუმცა ამჟამათ ქალაქი ყოველ დღიურათ იღებს 1.300.000 ვედრა წყალს, ეს რაოდენობა სავსებით არ არის აღრიცხული, რაც აიხსნება მაგისტრალის გაცვეთით, წყალ საზომების უქონლობით და სხვა.

ქარხნის შემოსავალი აგრეთვე არ შეეფერება აღრიცხულ რაოდენობას და შეადგენს აღრიცხულ წყლის 55 პროც. და ნამდვილათ გაშვებულ წყლის მხოლოდ 26 პროცენტს. ეს აიხსნება უმთავრესად დავალიანებით—კერძო პირებისა და განსაკუთრებით სხვადასხვა დაწესებულებების დავალიანებით, რომლებისათვის, მაგალითად საპყრობილეებისთვის, წყლის მიცემის შეწყვეტა შეუძლებელია.

წყალსადენისადმი სხვადასხვა დაწესებულებათა დავალიანება აღწევს 388.810 მან. და 36 კაპეიკს.

ამ თანხაში ტფილისის აღმასკომის დაწესებულებათა ვალი შეადგენს 124,786 მან. და 90 კ., სამხედრო კომისარიატის—199,474 მან. და 96 კაპ. და საერთო თანხის დანარჩენი ნაწილი წარმოადგენს სახალხო კომისარიატების ვალს.

წყლის შეღავათიანი მიცემა. გარდა ამისა წყალსადენი შეღავათიან პირობებში აწვდის წყალს ინვალიდებს, პენსიონერებს და დაზღვეულ უმუშევრებს. თითო სულს, განსაკუთრებულ მოწმობების შიხედვით, ეძლევა 30 ვედრა თვეში. ოქტომბრის განმავლობაში ასეთი შეღავათები მიეცა 1121 კაცს 33,630 ვედრა უფასო წყლის სახით.

შემოსავალ-გასავალი. 1 ოქტომბრამდე წყალსადენის კასაში შემოსულია სულ (ამიერ-კავკ. ბონებით) 587,623,203,500 მან. უდიდესი შემოსავალი,—215,532 მილ. მანეთი მიღებული იყო სექტემბერში. 1923 წლის გასავალი იმავე რიცხვამდე შეადგენს 584,064,255 ათასი მანეთი.

მთელი დახარჯულ თანხის მხოლოდ 22 პროც. დახარჯულია სამუშაო ხელფასზე. ყველაზე უფრო დიდია სათბობ მასალის ხარჯები, რომლებიც შეადგენენ მთელი გასავლის 40 პროცენტს.

რა არის საჭირო წყალსადენისათვის. საჭიროა ზომების მიღება, რათა გაშვებული წყლის რაც შეიძლება მეტი ნაწილი აღრიცხული იქნეს. ამისათვის საჭიროა წყალსაზომების მოწყობა ყველა დიდ სახლებში, სადაც ასეთები არ მოქმედობენ. ამჟამად არის ამის შესაძლებლობა რადგან გერმანიიდან მიღებულია 1.100 ახალი წყალსაზომი და მისი ნაწილები. უკვე მომქმედ წყალსაზომებთან ერთად წყალსაზომების რაოდენობა შეგვიძლია აყიყვანოთ ყველა აბონენტების 80 პროცენტამდე.

წყლის რაოდენობის გადიდებისათვის ზომები უკვე მიღებულია. ამისთვის ამჟამად მუშაობა სწარმოებს ორთქლის ტურბინისა და დიზელის კომბინაციისთვის, რაც მოგვცემს დღეში 250 ათას ვედრა წყალს. გარდა ამისა ეს მოწყობილება საშუალებას მოგვცემს ქალაქის ყველა რაიონებში წყლის შეუწყვეტლათ მიწვდენისას.

გარდა ამისა მოსკოვის გამოფენაზე ჩვენ შევიძინეთ მილები, რაც საშუალებას მოგვცემს ავამუშაოთ კიდევ ორი ქვაბი, რომლებიც ამჟამად უმოქმედოთ დგანან.

მისაღებია, აგრეთვე ზომები დავალიანების რეალიზაციისათვის.

წყალსადენების მოწყობის შედეგები. წყალსად. მოწყობის შემდეგ აღრიცხვა სწორი იქნება. როგორც ჩვენი ცნობებიდან სჩანს, აღრიცხვის გადიდება ყველა რაიონებში აღწევს 34 პროცენტს, ხოლო ცალკე შემთხვევებში—200 პროცენტსაც. განაპირა ადგილებში, საიდანაც მუშები სხვა ადგილებზე გადაესახლენ და სადაც, მაშასადამე, მოსახლეობა შემცირდა, ჩვენ ვამჩნევთ წინააღმდეგ მოვლენას, სახელდობრ, შემცირებას, მაგრამ ამ შემცირების პირობებშიც, როგორც ვთქვით, წყალსადენების მოწყობა აღრიცხულ წყლის მომატებას გვაძლევს.

სექციის დასკვნა

კამათის შემდეგ სექციამ დაადგინა: 1) ამხ. დიასამიძის მოხსენება მოიწონოს, 2) მიმართოს ტფილისის აღმასკომს და ამიერ-კავკ. სშ. კომისართა საბჭოს [illegible] ღონისძიებათ ლიკვიდაციისათვის ზომების მიღების შესახებ და 3) დაავალოს წყალსადენის ქვე-სექციებს, რათა ორი კვირის ვადაში გამომუშავებულ იქნას წყალსადენის გაუმჯობესების კონკრეტიული ზომები.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(18 ოქტომბერი).

ჩერვონცები	64,200
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	57,500
ჩეკები	52,500
დოლარები ეფექტ.	13,100
ჩეკები	12.100
ოსმ. ქალ. ლირა	7.000
იტალიური ლირა	385
ფრანგული ფრანკი	575
საბჭ. ფულის ნიშნები	—

მუშკოპის ფასები.

(17 ოქტ.)

პური 1 ხარ.—325 ათ., პური 2 ხარ.—275, ძროხის ხორცი—1 მილ. ცხვრის ხორცი—1300 ათ., შაქარი ფხვნილი—2,475, მაკარონი—1025 ათ. კარტოფილი—80 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(17 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ. 400—540 ათ., პური 2 ხარ.—300, ძროხის ხორცი—1200, ცხვრის ხორცი—1500, შაქარი რაფინ.—3 მილ. ფხვნილი შაქარი—2650. ათ. ბრინჯი ალდაშ.—750 მაკარონი 1200 კარტოფილი 125—150.

ბირჟის მიწოდება.

(17 ოქტომბერი).

ლურსმნები. რუს. შაქარი (ფხვნილი) შამპანიური ღვინო. „აბრაუ დიურსო“ კარტოფილის ბადაგი. კანიფოლი. ოლიფის ზეთი. ტყის მასალა. იტალიური მანუფაქტურა. სკიპიდარი. ტომრები რუსეთის ქალ მანუფაქტურა. კაუსტიური სოდა. ასანოი რუს. საპონი. ცემენტი და ეტერნიტი. ბორჯომის კანიფოლი. ევკალიპტის ზეთი. კონიაკის სპირტი.

ბირჟის მოთხოვნილება.

(17 ოქტ.)

ყუბანის საკანდიტერო ფქვილი. რუს. ფხვნილი შაქარი. ტეხნიკური ცხიმები. აბრეშუმი (დაურთავი) ასანთი. ჩაი. ქვა მარილი ნახიჩევანისა და ბახმუტისა.

[illegible]

(17 ოქტ.)

შაქარი რაფინადი რუს. (ჩახერხილი) 15 მან. ჩერვ. ფუთი ფრანკო გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(17 ოქტომბ.)

როგორც წინა დღეებში საქონლის ბაზარს საერთოდ უმოქმედობა ეტყობა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

16 ოქტომბერს დადებულია ბირჟის გარეშე 5 გარიგება, სულ 10013 ჩერვ. მან. თანხისა.

მუხროვანის გლაუბერის მარილის ქარხანა.

მუხროვანის ქარხნის გადაკეთება და მოწყობა უკვე სრულებით დამთავრებულია და მოკლე ხანში ქარხანა დაიწყებს უწყლო გლაუბერის მარილის წარმოებას.

ლაგოდეხის თამბაქოს პლანტაციები.

ლაგოდეხის პლანტაციებზე, რომლებიც საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში იმყოფება,—უკვე შეუდგნენ მოსავლის შეკრებას. მოსალოდნელია კარგი მოსავალი—70.000 ფუთამდე.

„აზნეფტ“-თან ხელშეკრულება.

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მინდობილობით ამხ. ავაქოვმა და ბოკონმა დასდეს ბაქოში ხელშეკრულება „აზნეფტ“-თან ხელშეკრულება შეეხება ნავთის ნაწარმოებების მომარაგებას. სათბობის განყოფილებას უფლება ეძლევა ნავთის ოპერაციების გატარება საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მონოპოლიის სახით, ხოლო აზნეფტ“-ი ვალდებულია არ მიაწოდოს ნავთის ნაწარმოები არავითარ სხვა ორგანიზაციას საქართველოში, რკინის გზის და „ოკკა“-ს გამონაკლისით.

საქართველოს ღვინისა და სპირტის მრეწველობა.

სექტემბრის განმავლობაში ღვინის ტრესტის წარმოებებიდან მუშაობდენ მხოლოდ რექტიფიკაციონური ქარხნები № 1 და 2 და ლუდის მხარშველი ქარხანა; ქარხნები № 4 და 5 და აგრეთვე ყინულის მკეთებელი ქარხანა არ მუშაობდენ. ზაფხულის სეზონის გამო წარმოება არ ყოფილა, მუშაობდა მხოლოდ ლუდის მხარშველი ქარხანა. ქარხნებში უმთავრესათ ხდიდენ სპირტს.

წარსული თვის ბოლოსთვის ტრესტის სამმართველოსა და ქარხნებში იყო—მუშები: მწარმოებლები—23, არამწარმოებლები—41 და მოსამსახურეები—38, სულ 102 კაცი. წინა თვესთან შედარებით მუშებისა და მოსამსახურეების საერთო რიცხვი შემცირდა 26 კაცით; შემცირება მოხდა ზაფხულის პერიოდისა და ქარხანა № 6-ში შტატების შემოკლების გამო.

საანგარიშო თვის განმავლობაში პროდუქციის მოძრაობა შემდეგნაირათ შეიძლება წარმოვიდგინოთ: გამოხდილია არაყი 2322°, სპირტი 5904° და დამზადებულია 650 ვედრ. კონიაკის დამუშავება არ ყოფილა, რადგან ის ბევრია დამზადებული.

ტრესტს აქვს დამზადებული ფაბრიკატების დიდი რაოდენობა, ამიტომ მყიდველებს არ უხდებათ შეკვეთის მიცემა, მათ შეუძლიათ დაუყოვნებლივ მიიღონ უკვე დამზადებული ფაბრიკატები.

სექტემბრის განმავლობაში გაყიდულია: კონიაკი—102 ვედ., არაყი—116 ვ., სპირტი—785 ვ. და ლუდი—508 ვ., სულ 11,852 მ. 66 კ. (ჩერვ.) თანხისა. ტრესტი ბაზარზე ჰყიდის უმთავრესათ სპირტს. კონიაკი ცოტა იყიდება, რადგან აკრძალულია მისი გატანა რუსეთის ბაზარზე, სადაც წინეთ გადიოდა კონიაკის თითქმის 90 პროცენტი მოლაპარაკება სწარმოებს პოლონეთთან ჩვენი ფაბრიკატების გატანის მიზნით; დამზადებულ საქონელის გასაღება ძალიან შემცირდა იმის გამო, რომ გათავდა სეზონი და არ არის ყინული, რომელიც მხოლოდ უკანასკნელ ხანებში იყო გამოშვებული ბაზარზე.

მრავალრიცხოვან კონკურენტებთან ბრძოლის მიზნისთვის, ტრესტის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ჩვენი ფაბრიკატების ფასების დაკლების შესახებ; ტრესტის მთავარი კონკურენტები არიან: რ. ს. ფ. რ. სპირტის სახელმწიფო ტრესტი, ამხ-ბა „კონკორდია“ „ზარი“ და სხვები.

ტრესტის ერთადერთი ფინანსიური წყარო არის პროდუქციის რეალიზაცია, უმთავრესათ კი პურის სპირტის განაღდება. ტრესტი დავალიანებულია და მისთვის აუცილებელია საშუალებები მიმდინარე რემონტის საწარმოებლათ, რომელიც დამთავრებული უნდა იქნეს ღვინისა და სპირტის გამოხდის სეზონის დაწყებამდის; ამჟამათ ტრესტის ფინანსიური მდგომარეობა მძიმეა.

განსაკუთრებით მძიმეთ მოქმედობს ტრესტის ფაბრიკატების განაღდებაზე სააქციზო გადასახადების მეტად ხშირათ გადიდება პურის სპირტზე, რომელსაც ტრესტი ხდის. ამიტომ მომავალ საწარმოო წლიდან ტრესტს განზრახვა აქვს გამოხადოს აგრეთვე ღვინის სპირტიც, რომელსაც იმდენათ დიდი აქციზი არ ადევს.

ტფილისის მეორე რაიონის განათლების მუშაკთა საერთო კრება

16 სექტემბერს პოლიტეხნიკუმის დარბაზში შესდგა მეორე რაიონის განათლების მუშაკთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 500-მდე წევრი. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. გრიშა გოგოტიშვილი. კრებამ უცვლელად მიიღო დღის შემდეგი წესრიგი: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, 2) მეორე რაიონის ადგილკომის საანგარიშო მოხსენება, 4) არჩევნები და 5) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოდის ამხ. ავენირი, რომელიც გერმანიაში შექმნილ ძალთა განწყობილებას ვრცელს ანალიზს უკეთებს და დასასრულ გამოსთქვამს ურყევ რწმენას, რომ გამარჯვება აჯანყებულ პროლეტარიატს დარჩება. ამხ. ავენირის მოხსენებას კრება დიდ ენტუზიაზმით ხვდება და ერთხმად გამოაქვს რეზოლიუცია, სადაც კრება მხურვალე სალამს უთვლის გერმანიის მუშებს და აღუთქვამს მას—შეძლებისდაგვარად შემწეობას შინაურ და გარეშე ბურჟუაზიასთან ბრძოლის დროს.

ადგილკომის საანგარიშო მოხსენება

რეზოლიუციის მიღების შემდეგ, ადგილკომი ერთი წლის მუშაობის შესახებ მოხსენებას კითხულობს ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ჯაიანი. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ადგილკომი ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა თავის წევრთა შორის მათი პროფესიონალურ ინტერესების დასაცავად. მიუხედავათ იმისა, რომ მეორე რაიონის ადგილკომი 50-ზე მეტ დაწესებულებას შეიცავს და აერთიანებს 800 წევრს, ადგილკომმა შესძლო მათი ხელმძღვანელობა და პროფესიონალური ინტერესების დაცვა. მოისუსტებდა კულტ.-მუშაობა, რომლის გასამაღლებლად უკვე ზომებია მიღებული და მომავალი ადგილკომის მუშაობისთვის ნიადაგი მომზადებულია.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომლის დროსაც ოპონენტები აღნიშნავენ ადგილკომის კეთილსინდისიერ მუშაობას და საქმისადმი გულმოდგინეობას.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც იგი ადგილკომის მუშაობას იწონებს. კრებამ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ჯაიანი. მორიგი საკითხი იყო ადგილკომის გადარჩევა. ერთხმად მიღებულ იქნა კომფრაქციიდან წარდგენილი სია შემდეგ პირად შემადგენლობით: 1. ჯაიანი, 2. სულაძე, 3. ჯაფარიძე, 4. განოლენაიკი, 5. ათაბეგოვი, 6. კასინსკი, 7. ტარჩინავა. კანდიდატებად არჩეულია: 1. წერეთელი, 2. ბოხოხიძე, 3. გარაგაში.

კრების დასასრულს განათლების მუშაკთა ტეხნიკური პერსონალის წარმომადგენელი ვრცელს მოხსენებას აკეთებს ტეხნიკურ პერსონალის მატერიალურ მდგომარეობაზე, რომელიც უნუგეშო იყო განვლილ პერიოდში და მოითხოვს, რომ ამიერიდან მიექცეს მას ჯეროვანი ყურადღება. მომხსენებელს პასუხს აძლევს ამხ. გეგენავა, რის შემდეგაც ყრილობა იხურება.

საქონლის მანეთის ახალი კურსი

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წ. 1, 8 და 15 ოქტომბრისათვის.

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 17 მაისის დადგენილება № 52-ის საფუძველზე, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით

1-ლ ოქტომბრისათვის განისაზღვროს—111.118.360 მანეთით,
8-ა ოქტომბრისათვის „ —119.328.400 მანეთით და
15-ტ ოქტომბრისათვის „ —129.708.400 მანეთით.

ამის და მიხედვით, საქონლის მანეთის ღირებულება

1-ლ ოქტომბრისათვის განისაზღვროს—11.112.000 მანეთით,
8 ოქტომბრისათვის „ —11.933.000 მან.,
15-ტ ოქტომბრისათვის „ —12.970.000 მანეთით.

ს. ს ს. რ. შრომის სახალხო კომისრის მოადგილე—**ა. მიქაძე**
საერთო-საორგან. გ. ნ. გამგე—**ლ. ქურდოვანიძე.**

ქრონიკა

— **საქ. ჯიშიანი ცხენები რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე.** ცხენთა საჯიშოების სამმართველომ რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნა 4 ჯიშიანი ცხენი. ცხენები გაგზავნილი იყო როგორც ექსპონანტები და მიიღეს 2 ჯილდო. (პრემია)

— **მიწად-მოწყობა საქართველოში.** მიწად-მოქ. კომისარიატის მიწად-მოწყობის განყოფილებამ. სექტემბრის განმავლობაში დაამთავრა მიწათ-მოწყობის საქმე ახალქალაქის, ბორჩალოს, ტფილისის, დუშეთის, გორის, შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის და ლეჩხუმის მაზრებში.

— **საძოვარ ადგილების გამიჯვნა.** საძოვრების ქვეგანყოფილებამ, ახალციხის მაზრაში ადგილობრივ მესაქონლეთა შორის გაანაწილა და გამიჯნა 1225 ქცევა საძოვარი ადგილები. თელავის მაზრაში—33428 დესიატინა (საზაფხულო საძოვრები).

— **ღორის ჭირი**. საბითლო განყოფილებამ მიიღო ზომები გაზაფხულამდის ღორის ჭირის წინააღმდეგ ასაცრელი კამპანის ჩასატარებლად. სექტ. განმავლობაში აცრილია 105 ღორი.

— **ცხენთა შეჯიბრება** ცხენთა შეჯიბრებაში (საშემოდგომო სეზონში) მონაწილეობა მიიღო სახელ. ცხენთა საჯიშოების 33 ცხენმა და 105 ჯარის ნაწილების ცხენებმა. შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობდენ, აგრეთვე, კერძო პირების ცხენებიც.

— **წისქვილის აგება კოჯორში.** ქალ. აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სამაზ. რევ. საბჭოს წინაშე, რათა კავკ განსაკ. არმიის შტაბმა გადმოსცეს მას აგარაკის დინამო—მანქანა კოჯორის რაიონის მცხოვრებთათვის წისქვილის მოსაწყობათ, რომელნიც უწისქვილიობით განიცდიან დიდ გაჭირვებას.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** ქართულ დივიზიის ნაწილებში 28 ოქტომბერს დაიწყება წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო გამოცდები. პოლიტგანის ბრძანებით დაჯილდოვებულნი იქნებიან ის მასწავლებლები, რომელთა ჯგუფები გამოცდებზე თავს გამოიჩენენ და აგრეთვე ის წითელ-არმიელნი, რომლებიც გამოცდებს კარგათ ჩააბარებენ.

— **მეტრიული სისტემა ჯარში.** ქართული დივიზიის ნაწილებში სწარმოებს ინტენსიური მუშაობა მეტრიული სისტემის შესასწავლათ.

— **საბავშვო სახლის გახსნა ლეჩხუმში.** ლეჩხუმის მაზრის აღმასკომმა და განათლების სამაზრო განყოფილებამ ქალ. ცაგერში გახსნეს საბავშვო სახლი.

— **ჩრდილო-კავკასიიდან გადმოგზავნილი ბავშვები.** განათლების კომისარიატმა მიიღო ნალჩიკიდან (ჩრდილო-კავკასია) გადმოგზავნილი 10 ქართველი ბავშვი, რომელნიც მოათავსა კოჯორის საბავშვო ახალშენში.

— **საბავშვო სახლი სამხრეთ-ოსეთიდან ლტოლვილ ბავშვებისათვის.** განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა გახსნას საბავშვო სახლი ვლადიკავკავიდან გადმოგზავნილ 62 ოს ბავშვებისათვის ეს ბავშვები 1920 წ. სამოქალაქო ომის დროს გადახვეწილნი იყვნენ სამხრეთ-ოსეთიდან ჩრდილო კავკასიაში. სახლის შენახვა იკისრა საქართ. სახ. კომისართა საბჭომ.

— **გერმანიის პროლეტარიატისთვის.** ა. | კ. მომხმარებელ საზოგადოების კოოპერატივის პრეზიდიუმმა დაადგინა: 25 ოქტომბრიდან ყველა კოოპერატიულ მაღაზიებში დანიშნოს ფართე ვაჭრობა, რომლის დღიური შემოსავალის 10 პროც. გადაიდება გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ.

— **„კოოპერაცია საქართველოში“.** იბეჭდება ქართულ და რუსულ ენებზე და მალე გამოვა წიგნი ამხ. ერქომაიშვილისა—„კოოპერაცია საქართველოში“, რომელიც შეიცავს სამასამდე გვერდს. ამ წიგნში იქნება შემდეგი თავები: 1. საქართველოს კოოპერაციის მდგომარეობა და საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსი. (კავშირი), 2. რაიონული კავშირები, 3. ცეკავშირი გასაბჭოებამდის და შემდეგ, 4. კოოპერაციის საშუალებანი, 5. საქართველოს კოოპერატიული ბანკი, 6. მუშათა კოოპერაცია, 7. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, 8. კოოპერაცია და პოლიტიკური პარტია, 9. საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება კოოპერაციასთან, 10. მენშევიკური სახელმწიფოს დამოკიდებულება კოოპერაციასთან, 11. სახსასურკომისარიატი და კოოპერაცია.

— **ქართველ ჯარის მეთაურთა სკოლაში.** ამით ცხადდება ყველა საბჭოთა, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციათა საყურადღებოთ, რომ შევსების მიღება ქართული ჯარის მეთაურთა სკოლაში შეწყდა 18 ოქტომბერს.

— **უფასო სადილები ახალგაზრდა უმუშევართათვის.** შრომის ბირჟის კომიტეტის დადგენილებით უმუშევართათვის მოწყობილ სასადილოში 20 ადგილი დაეთმოთ ახალგაზრდა უმუშევრებს.

— **შრომის ბირჟაზე რიგის დაკარგვა.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა: საზაფხულოდ სამუშაოზე გამგზავრებულ მედიკო-სანიტარულ სექციის წევრებს უარი ეთქვათ ბირჟაში რიგის დაცვის შესახებ და რიგში ჩაითვალონ როგორც ახლად ჩაწერილნი.

— **შრომის ბირჟა.** 17 ოქტ აღრიცხვაზე გამოცხადდა—438 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—121, სამუშაოზე გაიგზავნა—71 კაცი.

— **სამგლოვიარო დეპეშა.** მოსკოვიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: გავიგეთ რა ძვირფას ამხანაგ ბორის ძნელაძის სიკვდილის შესახებ, ჩვენ ახალგაზრდათა კომკავშირის ძველი წევრები და კომუნისტ სტუდენტები ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ საქართველოს ახალგაზრდათა მოძრაობის ერთერთ საუკეთესო ორგანიზატორის დაკარგვის გამო.

შემთხვევები

— გაძარცვა. მე-7 სამილიციო რაიონში 16 ოქტ. ღამის 4 საათზე რკინისგზის გადაღმა ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს მოქ. თუმანოვი. მიღებულია ზომები ყაჩაღების აღმოსაჩენათ.

— კოოპერატივის გაქურდვა. 16 ოქტ. პლეხანოვის პრ. № 111,—გაქურდეს კოოპერატივი „ბოეცი“ ეჭვით შეიპყრეს კოოპერატივის დარაჯი სიმონ მოსესიანცი.

— პატიმარის გაქცევა. 16 ოქტ. უბნის მილიციონერს გაექცა პატიმარი მიხეილ ნანობიშვილი.

— ქურდობა. 16 ოქტ. გაქურდეს მოქ. ილიკო ოკუჯავას ბინა, საიდანაც წაიღეს ნივთები, ღირებული 300 მან. ოქროთი, ეჭვით შეიპყრეს გიორგი იუტერი.

— მგზავრების გაძარცვა. 16 ოქტ. ყაჩაღებმა წილკანის რაიონში გაძარცვეს 10 მგზავრი. ბოროტმოქმედთა შესაპყრობათ მიღებულია სათანადო ზომები.

ხელოვნება

„კარმენ“-ის დადგმა.

„კარმენ“-ის წრევანდელი დადგმა ტფილისში—სრული განსახიერებაა რეალიზმისაკენ მისწრაფების. დადგმის პროტოტიპათ უნდა ჩაითვალოს ოპერის დადგმა პეტერბურგის მუსიკალურ დრამის სცენაზე. მაგრამ მოლოდინი სავსებით არ გამართლდა. ახალი ყოველთვის არ არის კარგი და უკიდურეს რეალიზმის ინტერესებისათვის შეიძლება დაიჩრდილოს ზოგიერთი მხატვრული მხარე მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალიც მხატვრულია. პეტერბურგში ზოგიერთი ოპერები და მათ რიცხვში „კარმენიც“. მიდიან მუსიკალურ დრამის ერთერთ დირექტორის, მოქ. ლაპიცკის მიზანსცენებით. მაგრამ მოქ. ლაპიცკი ვერ არის მხატვარი და არ არის საფუძველი იმისათვის, რომ უკუგდებულ იქნეს ოპერის წინანდელი დადგმა ჩვენს სცენაზე მხოლოდ იმისთვის, რომ მივბაძოთ ლაპიცკის.

მაგალითად, პირველი სცენა, ეს რა ყაზარმაა, რომელიც გამოყოფილია ქუჩიდან მაღალი ღობით და ჭიშკარით, სადაც ყველა ქუჩაზე გამვლელს შეუძლია შესვლა, სადაც თამბაქოს ქარხნის მუშა ქალები მოურიდებლათ ელაქუცებიან ყარაულის ჯარისკაცებს, სადაც ისინი სცემენ ჯარისკაცებს—განა ეს რეალურია? ეს უხეირო მიბაძვაა. მშვენივრათ იყო დადგმული მთელი მეორე აქტი, მაგრამ აქ ც წინანდელი დადგმა ღია ჰაერზე უფრო ლამაზი იყო. მოქმედება ხომ ისპანიაში სწარმოებს გაზაფხულის დამლევს და წინანდელი სამხრეთის ღამე უფრო კარგი იყო, ვიდრე ეხლანდელი სამიკიტნოს შინამოწყობილება რაღაც ფარდებით.

ეს არა ბუნებრივია. მაგრამ სამაგიეროთ ამ სურათში სცენაზე თვით ცხოვრებაა და ცეკვის მეოთხე მოქმედებიდან მეორეში გადატანა სწორეთ რომ მოხდენილია, რადგან მეოთხე მოქმედების სცენა გამოხატავს შესავალს ცირკში და როდესაც ესპანელი მიდის ხარების ბრძოლაზე, მის ყურადღებას ვერავითარი ცეკვა ვერ შეაჩერებს. ცეკვა სუსტათ იყო დადგმული მოქ. ძნეკოვსკის მიერ და ახალ პრიმა—ბალერინა ანდრეევას ჯერ-ჯერობით არაფრით არ გამოუჩენია თავისი ნიჭი.

მშვენივრათ ცეკვავდა პრიმა-ბალერინა ლეონოვა. მამაკაცთა ბალეტი მეტად მცირე რიცხოვანია და მკრთალი, სერგეევისა და ბარხუდაროვის გამოკლებით. მწვანე ტანთსაცმელში მოცეკვავე მხოლოდ გაკვირვებას იწვევს.

მიუღებელია აგრეთვე მესამე მოქმედების სცენის დადგმაც, გარდა „რჩევის“ სცენისა. აქ წინანდელი დადგმა ბევრათ უფრო უკეთესი და საინტერესო იყო. ახალი დადგმის მიხედვით გაუგებარია, სად წავიდენ ყველა კონტრაბანდისტები და კონტრაბანდული საქონელი; ნუ თუ ორ პატარა ტვირთისთვის საჭირო იყო ამოდენა კონტრაბანდისტებისათვის თავის მოყრა? შემდეგ, სცენა სწარმოებს მთის პატარა კალთაზე, სადაც მობრუნებაც კი არ შეიძლება; იკარგება ხოზეს წასვლის მშვენიერი ფინალის სცენა.

უფერულია მეოთხე მოქმედების დადგმაც სად არის ცირკის წინ მღელვარე სამხრეთის ბრბო? არა, არ არის საჭირო მიბაძვა, დაცული უნდა იქნეს მეტი სილამაზე და სიმართლე დადგმაში.

მუსიკოსი.

—

სათეატრო ინსტიტუტი. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ, თანახმათ განათლების კომისარიატის შუამდგომლობისა, დაადგინა დაარსებულ იქნას ქ. ტფილისში უმაღლესი სკოლა სასცენო ხელოვნებისა სათეატრო ინსტიტუტი შემდეგი განყოფილებით: 1) დრამატიული სტუდია, 2) საოპერო სტუდია, 3) დრამატიული სკოლა, 4) საოპერო გუნდის კლასი 5) პლასტიკისა და რითმიული გიმნასტიკის კლასი.

ახლად დაარსებულ სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის დრამატიულ სკოლასა და სტუდიაში ჩაირიცხებიან ამ თავითვე აკაკი ფალავას დრამატიულ სტუდიისა და სკოლის მსმენელნი. ახლად შემომსვლელთა გამოცდა და მიღება მოხდება შაბათს, 20 ოქტომბერს.

— **მუშა-მსახიობის ბესო მაისურაძის საღამო.** შაბათს, 20 ოქტომბერს ავლაბრის მუშათა კლუბში გაიმართება საღამო ბესო მაისურაძის 30 წლის სცენის მოღვაწეობის აღსანიშნავად. ამავე დღეს აღნიშნულ კლუბში ჩამოკიდებული იქნება მაისურაძის სურათი.

— **ჟურნალი „თეატრი და ცხოვრების“ გამოცემის განახლება.** ახლო ხანში იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით გამოვა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, რომელიც ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო დღემდე შეჩერებული იყო.

— **მწერალთა კონფერენცია.** სრ. საქართველოს მწერალთა საბჭო, 27 ოქტომბერს იწვევს მწერალთა კონფერენციას. კონფერენცია გაიხსნება ხელოვნების სასახლეში.

— **გიორგი ქუჩიშვილის ლექსების წიგნი.** გამოვიდა გიორგი ქუჩიშვილის ლექსების წიგნი: „შრომა და ბრძოლის სიმღერები“. გამოცემა პოლიტგანათლების სამხატვრო ბიბლიოთეკასი.

„ახალგაზრდა მარქსისტების“ დაშლა

ტფილისის მე-4 რაიონის კონფერენცია

ყოფილ. ახალ. მარქსისტთა ორგანიზაციისა შესდგება [illegible] 22 ოქტ. ტფილისის აღმასკომის ყოფ. დუმის დარბაზში სრულ 4 საათზე.

დღის წესრიგი:

1. პარლამენტარული დემოკრატია თუ პროლეტარიატის დიქტატურა, მომხსენებელი—ალ. ცინცაძე. 2. ეროვნული საკითხი—გიორგაძე. 3. საქ. სოც. დემ. პარტიის ყრილობის შედეგები—არ. რუხაძე. 4. დეკლარაცია. 5. დელეგატების არჩევნები.

მე-4 რაიონის საინიციატივო ბიურო ყოფ. „ახ. მარქსისტების“.

—

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! საშუალება მოგვეცით გამოვაქვეყნოთ თქვენს გაზეთში შემდეგი: ჩვენ, გორის მაზრის ახ. მარქსისტები, რომელიც ვითვლებოდით ამ ორგანიზაციაში და საქ. სოც. დემოკრ. მუშათა პარტიასთან ერთად ვაწარმოებდით ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, დღეს სავსებით შევიგნეთ ჩვენი შეცდომები, უერთდებით იმ დადგენილებებს, რომელნიც გამოიტანა სრ. საქ ს. დ. მ. პარტიის ყრილობამ, ვდგებით კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, ახალგაზრდა კომკავშირთან ერთად.

საშა ჯარველაძე, ოქრო ჯარველაძე, ალექსი დვალიშვილი, დათა მეგოსლიშვილი, ნიკოლა ნადირაიშვილი, ბაგრატ მამულაიშვილი, ლეო ელენტი, ვანო კოკოლაიშვილი, იასონ ჯოღერდიშვილი იასონ ხუჭიაშვილი, ვანო დიმიტრის ძე ჯოღერდიშვილი, დავით შაქრიშვილი, გიორგი ბარჯაძე, იასონ კაზრაშვილი, მიშა ხუციშვილი, გიორგი თათაიშვილი, სერგო ჯოღერდიშვილი, სარდო ხურჯიაშვილი, ანტონ იკოშვილი, ილიკო ცონქიშვილი, ვასო კაჟაშვილი, იასენ ბორკიაშვილი, ნიკო ჯოღერდიშვილი, ალექსი ქოქოშვილი, ვანო ბაქრაძე, ისაკ ქველაძე, სიმონ კობერიძე, გიორგი თოთლოძე, ალექსანდრე აბაშიძე, სოლომონ მაისურაძე, გიორგი ჯავახიშვილი, ვლადიმერ მიქაბერიძე.

—

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი:

ჩვენ, ქვემორე ამაზე ხელის მომწერნი, მე-2 რაიონ. ყოფ. ახალგაზრდა მარქ. ორგანიზაციის წევრები, სამუდამოთ ვგმობთ ჩვენს წარსულს მოქმედებას და სრულიად ვიზიარებთ ახალ გზას, რომელსაც დაადგენ გურიის და სხვა მაზრების ყრილობები. სულიაშვილი შალვა, აბუსერიძე რაჟდენი, მაჭავარიანი შალვა, ოდილავაძე ს., შანიძე ნიკოლოზი, ბახუაძე ნიკო, ქაზზინაძე ისაკი, მსხილაძე გრიგ.

—

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი:

1918 წლიდან ვირიცხებოდი საქართველოს ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის წევრად. ამიერიდან უარვყოფ იმ გზას, რომელსაც ადგა ს. დემოკრატია და მასთან ახალგაზრდა მარქსისტები, სრულიად ვიზიარებ იმ ახალ გზას, რომელსაც დაადგა გურიისა და სხვა მაზრების ახალგაზრდა მარქსისტთა ყრილობები.

ი. დიმიტრიშვილი.

—

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ჩემს შემდეგ განცხადებას:

1918 წლიდან 1921 წლამდე ვირიცხებოდი საქ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში. გასაბჭოების შემდეგ შევსწყვიტე ყოველივე კავშირი ხსენებულ ორგანიზაციებთან და ამიერიდან ვდგები ყოველივე პოლიტიკის გარეშე და სრულიად ვიზიარებ საბჭოთა პლატფორმას.

ა. ნადირაშვილი.

ყოფილ მენშევიკის განცხადება

გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი: მე, ქვემორე ამის ხელისმომწერი, ყოფილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა (მენშევიკურ) პარტიის წევრი, გავეცანი რა სრულიად საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყოფილ წევრთა ყრილობის დეკლარაცია-დადგენილებებს, ვუერთდები მათ და ამიერიდან ხელს უწყობ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, ვტოვებ რა ამიერიდან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას.

გიორგი ი. კახრაძე

პროლეტარულ პოეტ აკოფ აკოფიანის 30 წლის ლიტერატურულ მოღვაწეობის იუბილე

ამხ. აკოპ აკოპიანის 30 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილეს გადახდის გამო, რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტთან მოწყობილმა ცენტრალურმა კომისიამ 13 ამა თვის თავის პირველ სხდომაზე დაადგინა:

1) ამხ. აკოპ აკოპიანის საპატიო დღე გადაიხადოს ნოემბრის 4-ს, ამიერ-კავკასიის მასშტაბით და ამის გამო გამოსცეს ცალკე მოწოდება ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის მიმართ.

2) გამოსცეს პოეტის ლექსების სრული კრებული განსაკუთრებული წინასიტყვაობით.

3) გამოსცეს პოეტის ბიოგრაფია სომხურ, რუსულ, ქართულ და თათრულ ენებზე.

4) გამოსცეს ღია წერილები პოეტის სურათით და „ჰოი, თქვენ გვნაცვალეთ, მუშა ბიჭებო“—ოთხ-სტრიქონიან ლექსით, ზემოხსენებულ ოთხ ენაზე და გამოსცეს აგრეთვე მისი დიდი სურათი.

5) მოუწოდოს ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატებს, აგრეთვე რუსთა, სომეხთა, ქართველთა და თათართა სალიტერატურო საზოგადოებებს, პროლეტარულ ასოციაციებს, სამუსიკო და დრამატიულ საზოგადოებებს, ხელოვნების მოღვაწეებს, „ჰაიარტუნებს“, პროფკავშირებს, განათლების მშრომელ, უმაღლეს და ელემენტარულ სასკოლო დაწესებულებებს და სხვ., რათა მიიღონ დღესასწაულში მონაწილეობა.

6) ნოემბრის 3-ს მოაწყოს მუშათა კლუბებში ამხ. აკოპიანისათვის მიძღვნილი სალიტერატურო საღამოები.

7) გამოსცეს პოეტის მიერ სხვა ენებიდან ნათარგმნი ლექსები რუსულ, ქართულ და თათრულ ენებზე.

8) გამოსცეს ჟურნალი „დარბნოც“-ის (სამჭედლო) მორიგი ნომერი, მიძღვნილი ამხ. აკოპიანისათვის.

9) მატერიალურ მხრივ სრულიად უზრუნველჰყოს პოეტი—დაუნიშნოს მას მუდმივი პენსია მაღალი ნორმით.

დღესასწაულის შესახებ დაწვრილებითი ცნობა გამოიცეს ცალკე.

ცენტრალური კომისია.

ჩვენი თეატრის ბედ-იღბალზე

V.

ჩვენი დრამატიული მწერლობა.

მე ზოგიერთებისაგან ხშირად გამიგონია:

— არა გვაქვს საკუთარი პიესები და რა უნდა დავდგათო!

ნუ თუ გგონიათ, რომ გ. ერისთავისა და ცაგარლის შემდეგ ჩვენი დრამატიული მწერლობა სრულიად აღარ განვითარებულა?

ნუ თუ გგონიათ, რომ ჩვენს მწერლობას არ შეუძლიან ერთი ხუთიოდე პიესა მაინც მოგაწოდოთ ყოველმხრივ ღირსეული?

თუ ამაში დარწმუნებული ხართ, მაშინ თქვენი სამსახური, დღევანდელნო მესვეურნო, სრულიად უნაყოფო ყოფილა ჩვენი თეატრისათვის.

მაშინ ქართული თეატრი აღარავითარ წინსვლაზე არ უნდა ფიქრობდეს და აქედანავე ანდერძ აგებულად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ქართული თანამედროვე დრამატურგია არსებობს.

მუშათა ცხოვრება

გერმანიის პროლეტარიატს

დაჰკარ, დაჰკარ, დაამსხვრიე ტანჯვის ბორკილები!
დროა თქვენშიც აფრიალდეს კომუნიზმის დროშა;
მტრის ბრჭყალთაგან დაიხსენი დაჩაგრული ძმები.
რას უყურებ, მოხერხებულ ვერ უპოვი დროსა...

თქვენი სისხლით გამაძღარი ბურჟუების ხროვა
ლამობს, რომ მოიკრიფოს ძალა თავის ხელში;
ეყო იმას მუშას სისხლი, რაც რომ გამოსწოვა,
დაჰკარ მედგრად და გასწყვიტე ეს მტარვალი წელში!

ჩვენც თქვენთან ვართ, ბრძოლის ცეცხლში გამობრძმედილები
და თუ ვინმე მოისურვებს თქვენს კისერზე ჯდომას,
ბრძოლის ცეცხლით ავინთებით, როგორც არწივები,
წითელ ხიშტზე წამოვაგებთ ბურჟუების ხროვას!

კ. ხაჭილაველი.

შეუგნებელი მუშა მტერია თავისი თავის და მუშური სახელმწიფოსი.

(ფაბკომების და ქარხკომების საყურადღებოდ).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მუშებს დღეს [illegible]-ს სანატრელი დღე დაუდგათ და თავიანთი ბედი თვითონვე გამოსჭედეს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებაში, რაშიაც მათ ფართოდ ეხსნებათ ხელ-ფეხი თვითშემოქმედების, თვითგანვითარებისა და ცოდნის დაწაფებაში, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი მუშები მაინც არა ჰკარგავენ ძველ გზას, ძველ ჩვეულებებს და იმის მაგივრად, რომ კლუბებსა და თეატრ-სამკითხველოებში იარონ, ისევ ძველებურად განაგრძობენ ათასჯურის სამიკიტნო-სარდაფებში სიარულს და იქ ლოთობას, რომლითაც ისინი არა თუ მარტო თავიანთ თავს აყენებენ ზარალს, არამედ თავის ოჯახებს და თვით ჩვენ სახელმწიფოს მომავალ ეკონომიურ აღორძინებასაც ხელს უშლიან და მუშის სახელსაც ჩირქსა სცხებენ.

ეს მეტის-მეტი ცუდი მოვლენაა და თუ დროზე არ იქნა შესაფერი ზომები მიღებული ამის წინააღმდეგ, ეს მასსიურ ხასიათს მიიღებს და ცუდ შთაბეჭდილებას დასტოვებს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზედაც.

საჭიროა, რომ ამ საქმეში პროფესიონალური კავშირები ჩაერივნენ და ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღონ ზოგიერთ მუშების ასეთს უმგვანო საქციელს.

სტამბის მუშა კ.

როგორ ებრძვიან სპეკულიანტები პროფკავშირებს.

(პროფკავშირის საყურადღებოდ)

სერებრიანსკის ქუჩაზე № 42 არის ფეხსაცმელების სახელოსნო სანიანცისა. აქ უკვე ორი წელიწადია მსახურებს ამხ. ხაზხაზოვი. იყო დღე, როცა ხაზხაზოვს 14 საათი უმუშავია და შემდეგ მშიერი წასულა სახლში; იყო დღე როცა ხაზხაზოვს სრულიად არაფერიც არ უჭამია, მაგრამ ის ყველაფერს ამას ითმენდა. უკანასკნელ ხანებში ხაზხაზოვი დაუკვირდა საქმეს, გაიგო რომ ვინც კავშირშია, მისი მდგომარეობა ბევრჯერ უკეთ არის. კავშირის წევრები მუშაობენ ზომიერად და ჯამაგირსაც იღებენ რაც ერგებათ თავის დროზე, ამიტომ მან გადასწყვიტა ჩაწერა პროფკავშირში და ჩაეწერა კიდეც. მაგრამ დახეთ უბედურებას; „ხაზეინმა" გამოაგდო ის სამსახურიდან და უთხრა „კავშირმა გიშოვოს სამსახური" ო.

ასეთი ხალხი პროფკავშირის მტრებად უნდა ჩაითვალოს და მათ წინააღმდეგ უნდა ვაწარმოვოთ სასტიკი ბრძოლა.

ინფორმატორი—მეთვალყურე.

საჭიროა მუშებისთვის ღამე მოსვენება.

„კრასნოგორსკის" ქუჩაზე № 5 მოთავსებულია მუშათა სახლი, რომელიც ეკუთვნის მელითონეთა კავშირს. ამ აღნიშნულ სახლში სცხოვრობს არსენალის მუშების უმრავლესობა. ამ უზარმაზარ შენობაში მოიპოვებიან ისეთი პირებიც, რომლებიც არ ეკუთვნიან მშრომელთა მასას. ჩვენ, მუშებს გვიხდება დილით 5 საათზე ადგომა და სამუშაოზე წასვლა და რომ მუშამ საკმარისად მოისვენოს, მას სჭირდება 8 საათის ძილი მაინც, და დანარჩენი საათები კი სხვადასხვა კულტურულ სწავლა-განათლების შესაძენად, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს ასე არ ხდება ამ სახლში ღამის ოთხ საათამდის „როიალის გრიალი", თარის და ჭიანურის წრიპინი ძილს სრულებით არ გვაძლევს. ჩემის აზრით, ამგვარ მოვლენას მუშათა სახლებში არ უნდა ჰქონდეს ადგილი ნუ თუ ეს ვაჟბატონები არა გრძნობენ, რომ აქ მუშა ხალხი ცხოვრობს და მათ სჭირიათ ძილი და მოსვენება. ამ ვაჟბატონებმა დღისით გაატარონ „თავისი დღენი" ქეიფში და ლხინში და ღამე კი ჩვენ მოგვასვენონ მაინც.

მუშა—გიორ. დანდუროვი.

ჩვენს ადგილკომებში

(ჯანსახკომის თანამშრომლების ცხოვრებიდან.)

ამა წლის 8 ოქტომბერს შესდგა აღნიშნულ კომისარიატის თანამშრომლების საზოგადო კრება, სადაც ადგილობრივ კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის ამხ. ჩიხლაძის მიერ გაკეთებული იქნა ფრიად შინაარსიანი მოხსენება—ანგარიში ადგილკომის ერთი თვის მოქმედების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ადგილკომის უდიდესი ყურადღება თანამშრომელთა ეკონომიურ მდგომარეობას მიუქცევია. იმავე დროს ადგილკომს ჯეროვანი მუშაობა გაუწევია კულტურულ დარგშიც.

ადგილკომის ეკონომიური ხასიათის სხვა და სხვა ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

1) სწარმოებს პურის მიწოდება—ჯამაგირის ანგარიშში 117.000 მანეთად გირვანქა გამომცხვარი ყუბანის პური,—თითოს 10 გირვანქამდე;

2) მიღებულია ზომები სახელმწიფო ბანკიდან 40 ფუთი შაქრის გამოსატანად, გირვანქა დაჯდება 2 მილიონამდე;

3) გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები თანამშრომლების შეშით უზრუნველსაყოფად. შეშა დაჯდება ფრანკო—საწყობში 60 ჩერვ. მანეთი საჟენი დახერხილი 12 ვერშოკზე;

4) ფართლეულობის გამოტანის საკითხის გადაწყვეტა შეჩერებულია მოსალოდნელ ფასების დაწევის გამო;

5) კომისარიატის ტეხნიკურ პერსონალის მეტად მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიღებულია ზომები დადებულ იქნეს სატარიფო შეთანხმება;

კულტურული მუშაობა.

1) 4 წერა-კითხვის უცოდინარი ამხ. მოთავსებულ იქნენ სკოლაში;

2) თანამშრომელთა ბავშვები მოთავსებულ იქნენ სათანადო სკოლებში და საბავშვო ბაღებში;

3) პოლიტ და პროფ-უცოდინარობის სალიკვიდაციოდ გადაწყვეტილია გაიხსნას სანიტარული განათლების ბიბლიოთეკა, ან სათანადო განყოფილება;

4) 20 ოქტომბერს გაიხსნება ქართული ენის შესასწავლი კურსები;

5) საშეფო კომისიის მიერ სწარმოებს მუშაობა საშეფო სოფელში ნატახტარში სამკითხველოს წიგნთ-საცავის საზეიმო გახსნის შესახებ, რისთვისაც შეგროვილია თანამშრომლების მიერ შემოწირული ლიტერატურა. შეფობის საზეიმო მიღების დღესვე გამართულ იქნება ადგილობრივად სპექტაკლი-კონცერტი განყოფილებით, მოხსენებით და სხვა.

შრომის დაცვის დარგში.

კურიერთა შრომის შესამსუბუქებლად—აკრძალულ იქნა ზედმეტი საათის მუშაობა, რის გამო მიღებულ იქნა კიდევ ერთი კურიერი.

მუშკორი კ ნ.

პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა საერთო კრება

ა. წ. 14 ოქტომბერს მბეჭდავთა კლუბში შესდგა პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო სამას კაცამდე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. ახალი კოლექტიური ხელშეკრულების განხილვა და დამტკიცება; 2 მატერიალური დახმარების გაწევა გერმანიის მუშებს და 3) მიმდინარე საკითხები. პრეზიდიუმში არჩეულ იქნა ამხ. არეშევი, ამხ. ნიკიტინი და ამხ. ხარაზიანი. პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. არეშევი, რომელიც კრებას დაწვრილებით აცნობს კოლექტ. ხელშეკრულების პირობებს და ამ დარგში მიმდინარე მუშაობას. ხელშეკრულება მუხლობრივ განხილვის შემდეგ, ერთხმად იქნა მოწონებული და მიღებული. ცხარე კამათს იწვევს ჯამაგირების მომატების საკითხი, რომელიც თანახმად ახალ კოლექტივში შეტანილ მუხლისა 1:8 შეფარდებით (ძირითად სათვალავად მიღებულია 7,5 მანეთი ნაცვლად 7 მანეთისა). ამის შესახებ ლაპარაკობს ამხ. ვანო ბოლქვაძე, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს წინააღმდეგ მომატების აზრს, წარმოების მოსალოდნელ „კრახის" თავიდგან აცილების მიზნით, მოჰყავს მრავალი მაგალითები და კრებას მოუწოდებს ჯერ-ჯერობით თავი შეიკავოს, დაიცადოს და საბოლოო გადასაწყვეტად ეს საკითხი გადაეცეს ცენტრ. მმართველობას. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრება პრინციპიალურად იღებს ჯამაგირების გადიდებას, ეს დადგენილება საბოლოო დასკვნისათვის გადაცემულ იქნა ცენტრ. მმართველობაში. მეორე კითხვაზედ მოხსენებით გამოდის ამხ. ხარაზიანი და განმარტავს ამხ. ნიკიტინი, რომლებიც კრებას მოუწოდებენ გერმანიელ მუშებისადმი სრულ თანაგრძნობის გამოცხადებას. კრებამ დაადგინა გაიღოს შემოწირულება გერმანიის პროლეტარიატისთვის. მიმდინარე საკითხში იდგა კითხვა „სპარტაკის" შესახებ, რომლის მნიშვნელობა-სარგებლობაზე მოკლედ ლაპარაკობს ამხ. ინსტრუქტორი—სირმაი და მუშებს მოუწოდებს, რომ გამოგზავნონ თავიანთი შვილები ამ ორგანიზაციაში. მოხსენება კრებამ მიიღო ცნობად და საყურადღებოდ.

სტამბის მუშა კ.

მხოლოდ ჩვენი თეატრის მეთაურებს არ უნდათ მისი გაცნობა, არ უნდათ მისი წარმატება.

მათ არ იციან მიდგომა, გამოძებნა, სარგებლობა ახალი პიესებით.

ქართველ ავტორს ჯერ უბრალო პატივისცემაც კი არა აქვს მოპოვებული თეატრის მოურავთა შორის.

თუ ღმერთი გაუწყრა და მისცა მან თავისი პიესა სათეატროდ, ჯერ წაკითხვას ვერ ეღირსება, მერე პასუხს, შემდეგ ძალიან ხშირად თვით პიესასაც კი ვეღარ მიიღებს:

სადღაც გადააგდებენ, დაჰკარგავენ და დამრჩება პირში ჩალა გამოვლებული.

ამგვარი მოპყრობის შემდეგ ვინღა მიეკარება თეატრს? ვინღა გამოიჩენს თავის დაწერილს? ან ვინღა დასწერს შემდეგ?

ხელოვანს, მწერალს ყოველთვის ეჭირვება წაქეზება.

და ამნაირი „წაქეზებით" კი ვინ ააყვავებს ჩვენს დრამატურგიას? ვინ შექმნის ჩვენი თეატრის მკვიდრ მომავალს?

პირადათ რამდენიმე ავტორი მაინც ვიცი, ვისაც კი პიესები აქვს, მაგრამ... მიზეზები უკვე ზევითა ვსთქვი.

იცით ჩვენსა როგორ იდგმება ახალი, ორიგინალური პიესა?

ყური დამიგდეთ, ჩამოგითვლით:

1) ან უნდა იყვე რეჟისორი და თეატრის გამგე, რომ სხვების დაუკითხავად შენ თვითონ დასდგა შენი პიესები.

2) ან უნდა იყვე რამე ხელისუფლების მქონი და შეპოვება ჰქონდეთ შენი.

3) ან უნდა იყო რომელიმე რეჟისორთან ძმაბიჭი და მეგობარი, რომ ხათრი-ჯანობით გზა გაუკაფოს შენს ნაწარმოებს.

4) ან უნდა დაჰკარგო სიამაყე: ყველას მუხლებზე აკოცო, თანა სდიო თეატრში და სახლში, თავი მობეზრო ერთიან და ამ გზით აიძულო—მიიღებინო შენი რამე.

ღირსეულ ნაწარმოებს—ისევ ღირსეული ადამიანი ჰქმნის;

აბა მითხარით, რომელი ღირსეული, თავმოყვარე და ლამაზი სულის პატრონი გაივლის ამ გზაზე?

ეს ყველა საჩოთიროა მისთვის და ამიტომ განზე უნდა დადგეს.

მე ვამბობ:

ჩვენ უკვე მოგვეპოვება რამდენიმე ლაზათიანი ნაწარმოები, მაგრამ იგინი გამოყენებული არ არიან ჩვენი თეატრისათვის.

ეხლა სხვა მხრივ შევატრიალოთ საკითხი: თუ ჩვენ არა გვაქვს საკმაოდ განვითარებული თანამედროვე დრამატიული მწერლობა—ეს ისევ ჩვენი თეატრის ბელადთა „პარიფათს" მიეწერება.

წყენითა კითხულობთ - როგორ?

ეხლავე:

თქვენ შეჰქმენით საკუთარი შტატი მთარგმნელებისა. მათზე იხარჯება უამრავი ფული.

თარგმანებზე კი იზრუნეთ წინდაწინ, მაგრამ ორიგინალურ პიესებზე კი იოტის ოდენაც არ შეგიწუხებიათ თავი.

თარგმანებთან ერთად თქვენ რომ საკუთარ პიესებზეც გეზრუნათ:

გაზაფხულიდანვე გამოგეცხადებინათ საპრემიო შეჯიბრება. ზაფხულის ბოლოში თქვენ გექნებოდათ რამდენიმე ათეული პიესა.

აქედან კი ერთი ხუთიოდე მაინც იქნებოდა ღირსი სცენაზედ გამოტანისა და საზოგადოების ყურადღებისა.

თქვენ ამაზე არ იფიქრეთ!

ნუ თუ არ გაინტერესებთ ქართული დრამატურგიის განვითარება?

ნუ თუ თქვენ არ გიყვართ ნამდვილად ქართული თეატრი, არ გაწუხებთ იმისი ბედ-იღბალი?

ქართველი ხალხი თითქმის ფეხდაფეხ მისდევს ევროპიის სულიერ განცდასა და განვითარებას.

ყოველივე ეს თრთოლვა სულისა უნდა გადმოდინდებოდეს მხატვრულ შემოქმედებაში.

ამასთანავე საქართველომ განიცადა ამ ქვეყნის ბუმბერაზთა შეხლა-შემოხლის შედეგი.

რევოლუციის ქარტეხილში ხომ პირველ რაზზე ისევ ქართველი მებრძოლიც, ზის და ისიც გაჰყვის გამარჯვების ხმაზე.

ყოველგვარ თანამედროვე ბრძოლაში და განსაკუთრებით რევოლიუციაში ქართველი ხალხი თავგანწირულ მონაწილედ გამოდის.

ამაში მას საკმაო მსხვერპლიც აქვს გაღებული და საკმაო სახელიცა აქვს მოპოვებული.

მაგრამ ეს გიგანტიური ბრძოლა მის ხელოვნებაში ჯერ არ არის აღბეჭდილი.

განსაკუთრებით დრამატურგიაში თითქმის ჯერ არაფერი არ არის შექმნილი ამ მხრივ.

როგორ?

ბოლოს და ბოლოს ქართველი ხალხი მხოლოდ ფიზიკურ მასალას წარმოადგენს ამ ბრძოლაში და სულიერს კი არაფითარს?

ეს შეუძლებელია.

მაგრამ ამ დარგში სრულებით ვერ ვხედავთ წაქეზებას.

დარწმუნებით ითქმის, რომ ეს წერილი არ ესიამოვნებათ ჩვენი თეატრის მებაირაღტრეთ.

განსაკუთრებით არა სასიამოვნოდ ჩაითვლება თვით სეზონის დაწყების დროს.

მაგრამ ყოველთვის ხათრითა და ანგარიშით ყველა ჩვენ მნიშვნელოვან ნაკლზე გაჩუმება—ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ნაკლს უფრო აქეზებ და დასასრულს აღარ აძლევ.

ბოლოს ჩვენც უნდა მოვესწროთ რამეს თუ არა!

ვბერდებით ამ დაუმთავრებელ ლოდინში თუ წრეულს აღარაფერი გამოდნება, იქნებ, მერმისთვის მაინც გამოიჩეროს რამე.

ბოლოს მე მაინც იმ აზრისა ვარ:

თუ არ გადახალისდა დღევანდელ თეატრის ჭირისუფალთა შემადგენლობა და მათი მოწყობილობა, ისე იმედი არ უნდა ვიქონიოთ ჩვენი თეატრალური ხელოვნების აღორძინებაზე.

ყოველ შემთხვევაში იმ გზითა და იმ დოვლათით, რომლითაც ეხლა მიდის ქართული თეატრი მხოლოდ სამარეს მიაღწევს და სხვა არაფერს.

თუ არ აყვავდა ქართული დრამატიული მწერლობა, ქართული თეატრის ბედის ვარსკვლავიც ჩაქრება.

ლევ მეტრეველი.

ბიბლიოგრაფია

ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე" № 4

საქართველოს მდიდარი რევოლიუციონური წარსულიდან მასალების მოგროვება და კომპარტიის ისტორიული განვითარების შესწავლა ჩვენში ახალი საქმეა. მხოლოდ უკანასკნელ დროს ამ საქმეს ხელი მოჰკიდა საქართველოს კომპარტიის და რევოლიუციის ისტორიის კომისიამ, რომელიც პერიოდულად აქვეყნებს დაგროვილ მასალებს და წერილებს თავის ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე"-ში.

ამ დღეებში გამოვიდა ჟურნალის მეოთხე ნომერი, რომელიც შეიცავს 315 გვერდს და შიგ მოთავსებულია როგორც წინა ნომერში გამოქვეყნებული ისტორიული წერილების გაგრძელება, ისე ახალი, ისტორიული შინაარსის მასალები, მოგონებები, ავტობიოგრაფიები, ბიოგრაფიები, პარტიული არქივი, ტრიბუნა.

ჟურნალი იწყება პარტისტორიის კომისიის მოწოდებით დაღუპულ ამხანაგთა სიით, რომელიც ჯერ კიდევ ვერ არის სრული, და ზოგიერთი ამხანაგების ვინაობა დასახელებულია ან ფსევდონიმით, ან მხოლოდ გვარით. საჭიროა მოყვანილ იქნას ამ ამხანაგების ვინაობა უფრო სრულად: სახელის, მამის სახელის, გვარის, პარტიული სახელწოდების და სიკვდილის დროს აღნიშვნით.

სიის შემდეგ მიდის ამხ. ს. თალაკვაძის „საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსული"-ს გაგრძელება და შემდეგ ამხ. რ. კალაძის „ქართული მუშათა ჟურნალ გაზეთის ისტორია". მოგონებათა განყოფილებაში მოყვანილია წერილები: კ. ცინცაძის, ა. ვ. ლუნაჩარსკის, ა. ენუქიძის, დ. ნინოწმინდელის, ს. მგრელიშვილის, მ. კვარაცხელიას, მ. ცხაკაიას, ს. თოდრიას, გ. ჩხეიძის, მ. ჩოდრიშვილის, შ. დავიდოვის და არშაკ მეგრაბიანცის. ყველა ეს მოგონებები. მიუხედავად ზოგიერთ მათგანის ლიტერატურული სისუსტისა, ძვირფას საისტორიო მასალას წარმოადგენენ.

ამხ. ლუნაჩარსკის მოკლე ბიოგრაფიული მოგონება ლენინის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის პიროვნების შესახებ. ამხ. ა. ენუქიძის „რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის არალეგალურ სტამბების კავკასიაში მოწყობისა და მუშაობის ისტორია 1900—1906 წ." ფარდას ხსნის პარტიის არალეგალურ მოღვაწეობას რევოლიუციის დასაწყისში. ეს მოხსენება ავტორის მიერ, რომელიც ლადო კეცხოველთან, სტალინთან და სხვებთან ერთად ერთი დამაარსებელთაგანი და ენერგიული მომუშავეთაგანი იყო ამ არალეგალურ სტამბებში და პარტიაში, წაკითხულ იქნა მოსკოვში „ძველი ბოლშევიკების კლუბში".

მოგონების შემდეგ არის განყოფილებები: ავტობიოგრაფიები და რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნას.

პარტიულ არქივში მოყვანილია „ოქმი საქართველოდან ჩამოსულ კომუნისტებისა (ბაქოში 1920 წ.)" და ფილიპე მახარაძის „მოხსენება მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის მეორე მსოფლიო კონგრესზე", ჟურნალ „პროლეტარიატის ბრძოლის" ფურცლები 1904 წელში, № 7, 8, 9. ტრიბუნაში ამხ. მ. ორახელაშვილის და ს. ჩიხლაძის წერილებია. ჟურნალში არის კორექტურული შეცდომები და ენაც მოიკოჭლებს ზოგიერთ წერილებში, მაგრამ ჟურნალი ამით თავის მნიშვნელობას და ღირებულებას არ კარგავს. ყველა, ვისაც კი აინტერესებს საქართველოს რევოლიუციონური წარსული, სიამოვნებით წაიკითხავს „რევოლიუციის მატიანეს" და ხელს შეუწყობს მის ფართო გავრცელებას.

ი.

პროვინციაში

ქ. გორი

გორის სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებას აგრონომიულ ქვეგანყოფილების დახმარებით გადაუწყვეტია აქვს მოიწვიოს გორის მაზრის მეხილეთა ყრილობა 28 ამა ოქტომბერს. აგრეთვე იქნება მოწყობილი ხილეულობის და მეფუტკრეობის გამოფენა ამ ყრილობაზე. დაესწრებიან არჩეული დელეგატები ცალკე თემიდან, გაკეთებული იქნება მოხსენებები ყველა საგულისხმო საკითხებზე და ახსნილ განმარტებული, თუ როგორ უყურადღებოდ ეკიდებოდნენ წარსულში მთავრობები სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებას და რა ზომებს ღებულობს ამ დარგში ეხლანდელი მთავრობა. ამ ყრილობას აქვს დიდი მნიშვნელობა მაღალი სასოფლო - სამეურნეო კულტურის აღორძინებისა და განვითარებისათვის. იმედია ყველა პატიოსან მშრომელის გულში გამოძახილს იპოვის ეს დიდი საქმე. ყველამ ხელი უნდა შეუწყოთ მომავალ ყრილობის ნაყოფიერ მუშაობას.

ნ. გოგოლაძე.

ნახახულევის თემი (ქუთაისის მაზრა)

ნახახულევის თემი მდებარეობს იმერეთის დასავლეთ ნაწილში, ქუთაისიდან ოცდა-რვა ვერსის მოშორებით

თემი შესდგება დაახლოებით ათასხუთას კომლისაგან. თემში შედის ხუთი სოფელი: ნახახულევი, მათხოჯი, კონტუათი, საწულუკიძეო და დედალაური. ნახახულევის თემის მცხოვრებნი უმთავრესად მისდევენ სიმინდის და ღვინის მოყვანას, მაგრამ ეს თემი, განსაკუთრებით სოფ. მათხოჯი და დედალაური, ძალზე შევიწროვებული არის მიწის სიმცირის გამო.

ეს აიძულებს მცხოვრებთ, გარდა სასოფლო მეურნეობის, ეძიონ ცხოვრების სხვა წყარო. ნაწილი გლეხთა მიდიოდა სამრეწველო რაიონებში სამუშაოთ, მეორე ნაწილი ეწეოდა მტვირთ-მზიდველობას ურმებით (მეურმეობას), ზიდავდნენ ტვირთს ხეებს სოფ. მათხოჯიდან ქალ. ხონში, მესამე ნაწილი მიდიოდა კერძო სახელოსნოებში მომუშავეთ, ნაწილიც ჩარჩობას ეწეოდა და სხვა. თვით ოჯახი ეწეოდა მეაბრეშუმეობას, იმერული შალის გაკეთებას და სხვა. ასეთი საშუალებით ნახახულევის თემის მცხოვრებნი იკმაყოფილებდნენ თავიანთ მოთხოვნილებებს მსოფლიო ომის გამოცხადებამდე.

მაგრამ ამ ომმა შესცვალა თემის მცხოვრებთა მდგომარეობა ეკონომიურ სფეროში. ახალგაზრდობა იქნა ჯარში გაწვეული. შეწყდა ტვირთის მზიდველობა, ვინაიდან დამზადება ხეებისა შემცირდა, ქალაქებში დაიკეტა სამრეწველოები, მომუშავენი ბრუნდებიან სოფლად, შალზედ შრომის ღირებულება შემცირდა. თუ შალის გამკეთებელი შრომაში ღებულობდა სამ მანეთს, ეს ფასი დავარდა მანეთ ნახევრამდე. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ მდგომარეობა გლეხებისა იცვლება უფრო კარგი პირობებით, მაგრამ გაჭირვებას დღესაც აქვს ადგილი, საჭირო არის დროზედ ზომების მიღება და გლეხების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება

ერთ საშუალებათ შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: ომის ხანაში განვითარდა საფეიქრო წარმოება (შალეულებისა), მაგრამ ერთი მხრივ, მას ბაზარი არ აქვს და მეორეს მხრივ, საფეიქრო მანქანების უქონლობა ძალზედ ხელს უშლის ამ საქმეს. დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ ცეკავშირი ან უმაღლესი სამეურნეო საბჭო სარაიონო კოოპერატივის საშუალებით გახსნიან თემში საფეიქრო სახელოსნოს, სადაც მუშაობაში უნდა ჩაებათ სოფლის ქალები, მეორეს მხრივ შალეულობას უნდა ამოეჩინოს ბაზარი.

გიტაშვილი.

აკეთის თემი (გურია)

მენშევიკების ბატონობის დროს, როდესაც ოზურგეთს შემოესია ოსმალეთის ჯარი, იქიდან გახიზნულ გრ. სიამაშვილის და სერგო გალოგრეს ოჯახობას სოფ. აკეთში მოჰპარეს დიდძალი ოჯახური ნივთეული დაზარალებულებმა ეჭვი აიღეს დათიკო სიოს ძე მგელაძეზე და იოსებ მგელაძეზე, მაგრამ ვინაიდან ესენი ორივენი მენშევიკური პარტიის წევრნი იყვნენ (უკანასკნელი ეხლა გადასახლებულია), გურიის ადმინისტრაციამ მაშინ საქმე „მიაფუჩეჩა".

წელს აღნიშნული საქმის ძიება განაახლა ჩვენმა ადმინისტრაციამ, რომელმაც ენერგიული ზომები მიიღო ქურდების წინააღმდეგ. დათიკო სიოს ძე მგელაძეს უნახეს მოპარული ნივთები, რისთვის პასუხისგებაში მისცეს. მგელაძემ ნივთების აღმოჩენის შემდეგაც სცადა ნივთების გამოცვლა, რასაც ბოლო მოუღო ადმინისტრაციამ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ოზურგეთის მაზრის მილიციის უფროსმა ამხ. ჯიბუტიმ, მისმა თანაშემწემ დოლიძემ, ნაგომრის რაიონის მილიციის უფროსმა ტულუშმა და მილიციონერებმა ქრ. მეგრელიშვილმა გერ. როყუამ, ტარ. დარჩიამ და ალ. კილაძემ დიდი მუყაითობა გამოიჩინეს ქურდების აღმოჩენაში. აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ სპეკულიანტმა რუბენ მგელაძემ დიდი ქრთამი (ოცი მილიარდი მან.) შეაძლია ნაგომრის მილიციის უფროსს იაკინთე აბაკოსძე ტულუშს, მაგრამ უკანასკნელმა არა თუ არ მიიღო მისი წინადადება,—პირიქით ოქმით გადაგზავნა, სადაც საჭირო იყო.

ძველი კომუნარი.

ძონძირ-ისულის თემი (სენაკის მაზრა)

ეს თემი დაშორებულია სამაზრო ცენტრიდან 2 ვერსით და მდებარეობს მის სამხრეთით.

აღმოსავლეთით ამ თემს აკრავს მდ. ტეხური 6—7 ვერსის სიგრძეზე, მდ. რიონის შესართავამდე. აქ გადაშლილია უშველებელი ხე-ტყე, რომლითაც სარგებლობს არა მარტო ეს თემი, არამედ მაზრის საგრძნობი ნაწილიც. მიწის სინოყიერე აქ ხელს უწყობს სიმინდის უხვ მოსავალს, რომელიც შეადგენს მცხოვრებთა მთავარ ნივთიერ სალსარს.

რევოლიუციამდე ეს თემი იყო შეერთებული თეკლათის უშველებელ თემთან, რომლის სამმართველო არსებობდა ქ. ახალ-სენაკში.

ს. ისულაში არსებობდა ეკლესიასთან ერთი პირველ დაწყებითი სკოლა „სულის მამის" განკარგულებაში, ს. ძონძირში კი მეოთხე წელ წადია, რომ დაარსებულია ასეთი სკოლა.

ამ სკოლის მთელი მიწა-წყალი ყოფილ თავადი ჩხეიძეების საკუთრებას შეადგენდა. აქ, როგორც ბუნებრივათ მდიდარ ადგილში, თავს იყრიდენ მაზრის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული მცირე მიწა წყლის მქონე გლეხკაცობა. ესენი განსაკუთრებულ პირობებში იძენდენ ხსენებულ ჩხეიძეებისაგან სამუშაოთ მიწას. შემდეგ დროთა ვითარებაში მუშებს ჩხეიძეებისაგან შეუძენიათ სამოსახლოდ მიწები. ამ რიგათ, ამ ნახევარ საუკუნის წინეთ გავერანებული ადგილი მოეწყო მოსახლეებით, რომლისაგან შესდგა ძონძირის სოფელი.

რევოლიუციის შემდეგ ს. ძონძირის გლეხკაცობა განთავისუფლდა ჩხეიძეების ბატონობისაგან.

ძონძირ-ისულის სოფლებს აკავშირებდა გეოგრაფიული მდებარეობა, ისინი დიდი თხოვნის შემდეგ გამოეყვნენ თეკლათის თემს და შეადგინეს ძონძირ-ისულის თემი. დღეს იგი შესდგება 400-მდე კომლისაგან

ს. ძონძირის მცხოვრებლები, როგორც მაზრის სხვადასხვა თემებიდან ჩამოსახლებულნი, განირჩეოდენ ზნეხასიათის სხვადასხვაობით, ამიტომ მათ შორის ხშირი მოვლენა იყო აყალ-მაყალი და ჩხუბი, ს. ისულაში კი ბატონობდენ დაბეჩავებულ გლეხებზე ზოგიერთი გავლენიანი პირები.

ასეთი მდგომარეობა არსებობდა ამ თემში გადატრიალებამდი. მას შემდეგ ბოლო მოეღო თავხედ მოჩხუბარ მოქალაქეებს და დამყარდა მშვიდობიანი ცხოვრება.

აღსანიშნავია, რომ აქაური მცხოვრებლები ბოლო დრომდე ნაკლებ ინტერესს იჩენდენ საზოგადოებრივი საკითხებისადმი.

არსებითად შეიცვალა მდგომარეობა მას შემდეგ, რაც თემის აღმასკომის თავმჯდომარეთ იქნა გამოგზავნილი მაზრიდან ამხ. ფილიპე კოლუა. ნახევარ წელიწადზე მეტი არ იქნება, რაც ეს ამხანაგი მოღვაწეობს ამ თემში.

პირველად ყოვლისა იგი შეუდგა ს. ძონძირში სკოლისათვის საკუთარი შენობის შეძენას. მისი მეცადინეობით ახლა შენდება დიდებული შენობა სკოლისათვის, რომელიც მცირერიცხოვან სოფელს რამდენიმე მილიარდი უჯდება. ამხანაგი ინიციატორობს ადგილობრივად წარმოდგენის მოწყობას, შემოწირულების მოგროვებას და ამით ხელს უწყობს თემს ნივთიერად სკოლის გაშენებაში

განსხვავებულ სურათს წარმოადგენდა აქ წინანდელთან შედარებით 23 სექტემბერს მოწვეული სათემო კრება. მთავრობის პირველ გამოძახილზე შეიკრიბა თემის მთელი შემადგენლობა.

დღიურ წესრიგში დაისვა მოხსენება მაზროკომის ინსტრუქტორისა. ინსტრუქტორად იყო ამხ, პ. ნადარეიშვილი.

მოხსენების პირველი თემა იყო საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების და გლეხთა კომიტეტის არჩევა. ამხანაგმა მარტივ და გასაგებ ენაზე განმარტა ხსენებული კომიტეტის მნიშვნელობა და მოვალეობა საბჭოთა რესპუბლიკაში.

მოხსენების ბოლოს იყო შეკითხვები.

ამხანაგმა გარკვეული პასუხი გასცა თითოეულ შეკითხვაზე. შემდეგ არჩეულ იქნა კომიტეტი, რომლის უმრავლესობა შესდგა კომპარტიის წევრებისაგან.

შემდეგ ამხანაგმა გააკეთა მოხსენება რესპუბლიკის და საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე. ამხანაგმა გადაუშალა აუდიტორიას 1914 წლის დაწყებული მსოფლიო ომის ბუნება, 1917 წლის რევოლიუციის ხანა, ოქტომბრის გადატრიალება რუსეთში და შემდეგ მასზე აგებული პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება, ბოლოს მიუთითა ამ დიად მიზნებზე, რომლისკენ მისწრაფვის საბჭოთა ხელისუფლება.

მესამეთ, ამხანაგი შეეხო რელიგიის საკითხს.

თავის ვრცელ მოხსენებაში ამხანაგმა უდაოთ გახადა ის დებულება, რომ სარწმუნოებრივი კულტი არის შედეგი გაუნათლებლობის, უმეცრების და რომ სამღვდელოება ისტორიულად წარმოადგენდა გაბატონებულ კლასების საუკეთესო იარაღს მშრომელი მასსის დასამონავებლად. მომხსენებლის უკანასკნელ სიტყვებს ფარავდა მქუხარე ტაში და „ძირს რელიგიას" ძახილი.

ყველა მოხსენებულ თემებზე იქნა გამოტანილი შესაფერი რეზოლიუცია.

აგვისტოს პირველ რიცხვებიდან ძონძირ-ისულის თემში დაიწყო ერთსულოვანი მუშაობა გზების შესაკეთებლად. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ალმასკომის ავტორიტეტი, [illegible] ყვანილ იქნა სამუშაოდ თემის [illegible] [illegible] გრძეზე, დანარჩენ მეორე ნაწილ[illegible] ნი გზებიც კეთდება, ზოგან [illegible] გაყვანა უკვე დაწყებულია, დრო[illegible] გზების შეკეთება შეჩერებულია, რად-გან მშრომლები უკვე შეუდგნენ [illegible] კამპანიას.

საერთოდ წელს სიმინდის მოსავა-ლი ნაკლებია და კერძოთ ძონძირ-ისულის თემში, ვინაიდან დაბა[illegible] მდებარეობისა გამო ხშირმა წვიმ[illegible] მეტად გამანადგურებელი გავლ[illegible] იქონია სიმინდის მოსავალზე

მკის დამთავრების შემდეგ გზე[illegible] მუშაობა ისევ განახლდება.

ფილუშვილი.

მთავრობის მოქმედება და განკარგულებანი

დადგენილება № 66

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის.

მცირეწლოვანთა და არა სრულწლოვანთა პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის შესაცვლელად და შესავსებათ—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

18. (ა) სასჯელი არ დაედება მცირეწლოვანს 13 წლამდე და აგრეთვე იმ არა სრულწლოვანთაგანს 13-16 წლამდე, ვისთვისაც სრულწლოვანთა საქმეების სათანადო [illegible]სიის მიერ საკმაოდ მიჩნეული იქნება სა[illegible]მო-საპედაგოგიო ზეგავლენა.

18. სასამართლო ვალდებულია სასჯ[illegible] რომელიც დაედება არასრულწლოვანს 13-[illegible] წლამდე, შეამციროს ნახევრად, ხოლო არა სრულწლოვანს 16-18 წლამდე ერთ მ[illegible]დით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენ[illegible]ტრალური აღმასრულებელი კომი[illegible] თავმჯდომარის მოადგილე ს. ტ[illegible]

სრულიად საქართველოს საბჭოთა [illegible]ტრალური აღმასრულებელი კომი[illegible] მდივანი ვ. საბაშვილი.

1923 წლ. ოქტომბრის 10.

ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარ

პარტიული

პარასკევს 19 ოქტომბერს, საღ. 7 ს. განათლების მუშაკთა სახლში შესდგება [illegible]ნარში (ბიბლიოთეკაში) მომუშავეთა საორგანიზაციო კრება.

კვირას, 21 ოქტომბერს, დღის 12 ს. კლუბებში მომუშავეთა საორგანიზაციო კრ[illegible] წინადადება ეძლევა რაიადგილკომებს განსაკუთრებულად აცნობონ—ამის შესახ[illegible] კლუბის და წიგნთსაცავ-სამკითხველოს თანამშრომლებს.

შაბათს, 20 ოქტომბერს, საღ. 7 ს. შესდგება წრეებში ჩაწერილთა საორგანიზაციო კრება.

პროფესიონალური

— კვირას, 31 ოქტომბერს, საღამოს 6 ნახ. საათზე განათლების მუშაკთა სა[illegible] გაიმართება მუსლიმანთა სკოლების მუშაკთა მეორე საორგანიზაციო კრება.

სახლის გამგე—შიუკაშვილი.

— კვირას, 21 ოქტომბერს გაიმართება ექსკურსია შავნაბადაზე პროფ. ა. თვალჭრელიძის, ასისტენტ ა. ფლორენსკის და კ. თაჯარიშვილის ხელმძღვანელობით. შეკრების ადგილად დანიშნულია განათლების მუშაკთა სახლი, დილის 8 საათზე (ექსკურსია გაგრძელდება საღამოს 6 საათამდე).

სახლის გამგე—შიუკაშვილი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული ივანე ნიკოლოზის ძე საბაშვილი შვილებით: ოლია, თამარა, ვიტუშა, ნინა და ნადია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს უდროოდ დაკარგვას პირველის ძვირფასი მეუღლის და მეორეთა დედის

სონა საბაშვილის

დაკრძალვა მოხდება 20 ოქტომბერს, შაბათს, ქ. ოზურგეთში.
(62—1—1)

კვირას, 21 ოქტომბერს
გამოვა პროლეტარულ მწერალთა კავშირის
ყოველ-კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო
გაზეთი
„ორიონი"
ჯერ-ჯერობით გაზეთი იქნება ჩვეულებრივი ფორმატის.
(4—2)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ შედევანიშვილის [illegible]
[illegible] — რომელნიც [illegible]
ექიმობს სახტირიებ.
სამკურნალო [illegible] **ექ. სვიმონ ეიფშიძის** [illegible]
ხელობით ტფილისი, კოროლენკოს ქ. № 20. 1252 [illegible]

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის
გ. დ. ხანცინის
მედიცინის ექიმის **ვ. ვ შენგელიძის**
მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან 4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. ყოველგვარი გამოკვლევანი კრუზენშტეინის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ. 18 14. (46—25—2)

ქ. ტფილისის 1 უბნის სახალხო სასამართლო
ამით აცხადებს, რომ 1923 წ. სექტემბრის 4 დღისა მის დადგენილებით დამტკიცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის სალომე ანტონის ასული მაისურაძის ანდერძის წერილი, შედგენილი ქ. ტფილისის ნოტარიუსის ქართველიშვილის მიერ 26 მაისი 1916 წ., რეესტრი № 4811 [illegible] აქტის წიგნისა №№ 34, 35 და 45. (59—1[illegible]

დაკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი № 2450 ივანე [illegible]ძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (60—1—1)

დაკარგე პარტიული ბილეთი № 497026 პლატონ ვასილის კიკნაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად (1—1)

დაკარგე პირადობის მოწმობა სურათით მიღებული რკ[illegible] გზის მე 4 უბნის სამმართველოდან და ჯანმრთელობის მოწმობა მიღებული შრომის განყოფილებიდან. მელქისედეკ სოფრომის ძე კიკნაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად (63—1[illegible]

დაკარგე განათლების კომისარიატის პროფგანათლების [illegible]ვარი მმართველობის მუშათა ფაკულტეტის სა[illegible]რის საშუალო-ლიტერო კურსების № 2-ის ბეჭედი, ჩაითვალოს გაუქმებულ[illegible] (1—1)

დაკარგე მე ახალდაბის ხერხის ქარხნის კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ბლიაძემ: 1) წიგნაკი ხეთა დამმუშავებელთა კავშირის № 225, 2) მანდატი ქარხნ-კომის პასუხისმგებელი მდივნის № 1955, 3) მოწმობა ხეთა დამმუშავებელთა ცენტრალური კავშირის გამგეობის № 818, 4) პირადობის მოწმობა მოცემული ახალდაბის თემის ალმასკომის მიერ № 359, 5) მონადირეთა კავშირის—ჩაითვალოს გაუქმებულად.
(61—1—1)
ვლადიმერ ბლიაძე.

სტამბა „ზარია ვოსტოკა" რუზენშტეინ ის ქ № 4.